

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდღის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).  
 მკოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სისხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).  
 მოველით ჩემდა ყოველნი მამურალნი და ტვირთობივინი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11 28).

№ 15—16 1883—1896 1—30 აგვისტო

**გაზეთის ფასი:**

„მწყემსი“	„მწყემსი“ რუსული გამოცემით
12 თვეთი . . . . . 3 მან.	12 თვეთი . . . . . 5 მან.
6 — . . . . . 2 —	6 — . . . . . 3 —

ფულის და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:  
*Въ Копенгагенѣ, въ редакціи „Мискиа“ и „Пастырѣ“.*

შველა სტატიები და კორესპოდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავთ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვისი განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს. სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილიც და თარგმნი დაიბეჭდებიან.

**ჩვენთა მოძიეთ საეურაღდებოდ.**

ვინც ჩვენი ხალხის ცხოვრებას დაუყვრდება და სერიოზულად გამოიკვლევს მას, იმას უთუოდ ბევრი უსიამოვნო ფაქტები აეშლებოდა. სერიოზულად-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ხალხისა და მისი ცხოვრების გაცნობა ისე ადვილი არ არის, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. ორიოდ წიგნისა და ორი-ამი ჟურნალ-გაზეთის კითხვა ვერ მიგვადწვინებებს ამ მიზანს. ჟურნალ-გაზეთი, როგორც უნდა იყვეს

იგი, ისეთი უტყუარი სარკე არ არის, რომელშიაც შეგვექლოს დანახვა ხალხის ცხოვრებისა უმეტეს-ნაკლებოდ. ამებთან უეჭველად საჭიროა, რომ ჩაერიოთ თვითონ ხალხში, გაიცნოთ მისი შინაურული და გარეშე ცხოვრება, ყური უგდოთ მის გულისცემას, ჩაიხედოთ მისი სულისა და გულის სიღრმეში, აღბეჭდოთ ყველა მოვლენა მისი მოქმედება-ცხოვრებიდან და მაშინ კი უფრო სიმართლე გეტყნებთ თქვენ, რომ თქვენ იცნობთ ხალხსა და მის ცხოვრებას, მხოლოდ მაშინ იგრძნობთ სავსებით, თუ რა არის უსიამოვნო, უიმედო, შავი ფაქტები. მაშინ არც მარტო ცარცვა-ქურდობას შენიშნავთ

საქ. სსრ კ. მარქსის  
 სახ. სახ. რესპუბ.  
 ბიბლიოთეკა





მის ცხოვრებაში. ერთი თუ მკარცვავ-მკურდავია, მეორე ცრუ და ორპირია, მესამე მოშურნე, გაუტანელია, მეოთხე ხარბი ცრუმეტყველია, მეხუთე გულცივი—სასადაკარგულია და სხვა სხვა არის. ვის არ ააყრუოლებდა საზიზღარი მკვლელობა დათიკა ტულუშისა და ლანჩხუთში, ვის არ დაალონებს ის გარემოება, რომ ხედავ და გვსმის, ორი კაცი ერთსა და იმავე შემთხვევას შესწრებიან, ორივე მიუწვევით სასამართლოში, ორივესთვის ფიცი მიუღებინებიათ და ორივე ერთი მეორის წინააღმდეგ ამბობს! რამდენს სხვა ამგვარებს შეხვედებით კიდევ! ყველა ეს ბნელი ფაქტები ნიშანია ზნეობა-სარწმუნოებრივ გრძნობათა დამღბლებისა, და ესკი ბოლო მომდებელი, სევედა აღმძვრელი უნდა იყოს ყოველი კეთილშობილური კაცისათვის, ვინც თავის არსებობასთან და კეთილდღეობასთან სხვის არსებობას და კეთილდღეობასაც ჰხედავს საქიროდ, ვისაც ცხოვრების მიზნად საკუთარი კუქის დლიური გამოვსება არ გაუხდია: ზნეობრივი და სარწმუნოებრივი სიფაქიზე ერთი იმ მთავარ ბურჯთაგანია, რომელზედაც დაფუძნებულია ერის თვით არსებობა, თვით ცნობიერება და კეთილდღეობა. რამდენად მტკიცეა პირველი, იმდენად უშინარია ვის უკანასკნელი, და რამდენად უმბალაულია პირველი, იმდენად ახლოს არის ხალხი სამარის პირზედ. ამის მავალითებით სავსეა როგორც სხვა ტომის, ისე ჩვენი პატარა ერის ისტორიაც...

როგორ უნდა მოუშველოთ იარას თავი, თუ ძირი ამოწმნდილი, გამომთვლბული არა აქვს, უამისოთა იარა უფრო დაწყლულდება და მეორე ადგილის იჩენს თავს. ამ ორის წლის წინედ ყაჩაღები აწოიკებდნენ და აბევედნენ ჩვენი პატარა კუთხის (გურიას, რომლის ცხოვრებას ვეხები ამ წერილში). აღარ იყო მათგან მოსვენება. ახლა, მადლობა ღმერთს, აღარ იმისი მათი ამბაეი. და რა? გამომრთულდა ის წყლული ხალხისა, სადამაც ის მოვლენა წარმოშობა? სრულიადაც არა! ახლა სხვაფრთვ იჩინა თავი. ყაჩაღები არ არიან, მაგრამ ცხენები აღარა გყავს. ერთი ცხენიც აღარ შეგვარჩინეს, ყველა დაიპარეს. თუ ესურთ მტლედ და მალამოდ დაედვათ რომელიმე წყლულს ხალხისას, უთუოდ პირდაპირ და მარჯვეთ უნდა მიავნოთ მის სათავეს, თავ მიხეზს და ამას უნდა დაუწყით წაშლობა. უამისოდ უქმი იქნება ყოველი შრომა და ცდა. უფრო ღრმა დაკ-

ვირვება მდამია ხალხში ასეთ მოვლენათა მიზეზად, მე გმონია, სოციალურ-ეკონომიურ პირობებს დაგვიყენებს წინ პირველად. უფრო კი ეკონომიურსა წინედ ხალხი ცოტა იყო, ბუნება უფრო მდიდარი, ცხოვრებაც მეტად მარტივი იყო და მოთხოვნილება ბევრად ნაკლები, ცოტა ჯაფით ყველას აკმაყოფილებდნენ. ახლა კი სულ სხვაა. ხალხი გავრავლდა, ტყე გაიკაფა, მიწა გაძვირდა და თან კიდევაც მიმოდულდა, მოთხოვნილება, საქიროება, გარდასახადი, ბევრია ერთი ათად გაიზარდა. ოსტატობა, ცოდნა, ხერხი მუშაობისა და სამუშაო იარაღი ისევ ადამის-ჟამისებურია. მეურნეობა, შინათ მრეწველობა და სხვა ამგვარი დარგები არამც თუ ფეხზედ წამომდგარა, არც კი დაბადებულა ჯერ ჩვენი ხალხისათვის. ბევრი ჯაფითაც ცოტას იწვევენ, თორემ ვინც მუშაობას თავილობს, იპას რაღა ექნება? გაქირდა საქმე, ჩამოვარდა სიღარიბე მოთხოვნილება ბევრია და დამაკმაყოფილებელი არაფერი გვაქვს. არამც თუ გარეშე, შინაურულ მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებენ. რას იზამს ასეთს შემთხვევაში უიქნეო, ბნელი და ბეჩაფი ხალხი? ეს კი არა, მე გმონია, განათლებულიც, ასეთ გაქირებებაში ჩაყარდნელი, ჩშირად ავკაცობას მიმართავდა. ხოლო რამდენათაც ხშირად ჩადის კაცი ავკაცობას, იმდენად უფრო უგრიოდება სარწმუნოებრივი გრძნობა და უმბალდება ზნეობა, და როდესაც ზნეობა შეილახვის, მერმე კი ერთი მეორეზე არიან დამოკიდებული: ავკაცობა მიზეზია უზნეობისა და უზნეობა ავკაცობისა. ახლა საქმე ის არის, რისთვის აქვს ასე ცუდი ზედგაღლენა ამ პირობებს ხალხის სარწმუნოებრივ გრძნობასა და ზნეობაზე, რისთვის ვერ იტანს ხალხი მათ ისე, რომ ბნელი ხაზი არ დაეცვას მის ზნეობას? იმიტომ, რომ ის ბნელია, უყიცი, გონება-ზნეობა განუფითარებელი. მას არ აქვს წარმოადგენა უმადლეს ჭეშმარიტებაზე და ცხოვრების მიზანზე. მათ მხოლოდ გარგვანი მხარე აქვთ შეთვისებული საღმრთო წერილისა, თორემ შინაარსი უტვია მისთვის. ეკლესიაში რომ შემოვდივარ, დავიხანავ, მამაო, რომ პირჯვარს იწვიენ და მეც დავიწვრ, დაიჩოქებენ— და მეც დავიჩოქებ, თორემ სხვა რა ვიცი, რა სწერია საღმრთო წერილშიო, მიპასუხებ ერთმა მრევლთაგანმა მასთან საუბრის დროს. სდაც ამის მეტად არ გაუღვამს ძირი საღმრთო მოძღვრებას, არ შეუგნიათ მისი შინაარსი და აზრი, სდაც

დღეში იმე... მათთვის... უფრო... ღრმა დაკ...

საქართველოს მწერთა კავშირი



ლოცვის წაითხვას ისე არაფრად აგდებენ, თუ „ორარი თავზე არ გადაფარეთ“; და ნათლის ღვთისმშობლის — თუ ერთზე მეტი მიმრქმელია, იქ ცოტა ვასაქირო, ნაიკად და ცდუნება აღმოხვას მას ხალხის გულში. მით უფრო, რომ განმხრწნელი მატერიალისმი ჩვენშია არის შემოპარული.

რა ესაშუალება ამ წყლულს? ისეთი „ძველი მამა-პაპათა ჩვეულებათა დაცვა, როგორც არის, მაგალითად, მშობიარობაზე დამწერე ბებია ქალისათვის ლოცვის დროს თავზედ ორარის დაფარება, ნათვლავზე ერთი მიმრქმელის ყოლა“ და სხვა ანკუარები ვერას გვიშველის, ვინაიდან ეს არის მხოლოდ გარეგანი მხარე (обрядовая сторона) სარწმუნოებისა. საქმე ის არის, რომ მიეცით ხალხს საღვთისმეტყველების, შეიპატრუს მძიმე ტვირთი ცხოვრებისა, მიეცით სამყურნო, სამიწათმრწველო ცოდნა, წამოაყენეთ ფეხზე ნივთიერად. მეორედ, აუხილეთ განების თვალი, აუშაღლეთ ზნეობა, ვადუშაღლეთ, შეათვისეთ სიღრმე ქრისტეს მოძღვრებისა, მისი მაღალი იდეალი, შეუსისხლოხრათე მის სულსა და გულს უმოთავერსი მკნებები, მათი მონაარსი, ამაღლეთ მათ გულში სიყვარული ღვთისა და მოყვინისადმი, გასწმიდეთ ეს ორი გრძნობა და მაშინ ნახეთ, თუ რა სულიერ ძალასა და სიზნუნს გამოიჩინოს ის გაქვირებაში, როგორ შეებძინებოდა მას, როგორი იშვიათი იქნება მის ცხოვრებაში ავსაცობა და ზნეობის წინააღმდეგი მოქმედებანი. დიად, ეს ასეა, მაგრამ ვისი მოვალეობაა, ვის შეუძლია დაუახლოვოს ის ამ სისრულეს? ახლა, სამყურხარად, ისეთი მიმართულებაა, რომ ერთი წრე მეორეს უწუნებს მიმართულებას და მოქმედებას, თორემ თავის თავზედ ნაკლებად იხედება, თითქოს ყველას ერთნაირად არ ქონდეს დავალებული ზნეობისა და ღვთისაგან მაღალი იდეისადმი სამსახური! ყველა, ვინც უნდა იყვეს იგი, თუ კი ასეთ ხალხში სცხოვრობს, მასთან აქვს რაიმე დამოკიდებულება, იცის მისი კიბი და ღვინი, და ამასთან მაღლა სდგას მათზე განებით, ძალი-ღონით და მას კი არ რგებია, ის „მკვდარს ემსგავსება“, პოეტის არ იყოს მაგრამ ის კი კია, რომ ზოგი სხვებზე უფრო დაახლოვებულია ხალხთან, თან დავალებულიც აქვს მათთვის სამსახური, და თუ ასეთი პირები ამ უეცო, ბოგანო, ბნელ ხალხში ტრიალებენ, მასთან დაახლოვებას, საკუთარ ცოდნასა და ძლიერებას იმაზედ იყენებენ,

რომ უფრო უშიშრად, თავისუფლად და უხვედ მითალონ თავისთვის, საკუთარი განცხრომა-ფუფუნებისათვის და მაღალ დანიშნულებას, წმინდა იდეებს ცხოვრების წყრილშიან და პირად ინტერესებზე სცდნან, ისინი არა თუ მკვდარს ემსგავსებიან, პირიქით რაღაც საზიზღარი არსებანი არიან, სიცოცხლის ძირის გამომთხრელი მუწულები არიან.

პირდაპირ ხალხში ჩარეული და დახლოვებით მცოდნე მისი მდგომარეობისა მღვდლები და სოფლის მასწავლებლები არიან. ამიტომაც, რომ ყველანი ამათ წინააღმდეგ ავარჯიშებენ კალამს და ენას, ყველანი ამათ სდებენ მსჯავრს. ამით უფრო ადვილად ეხერხებათ ხალხში ცოდნისა, სწავლა-განათლებისა და კეთილი ზნეობა-ჩვეულებათა თესვა, ესენი პირდაპირ ამ მიზნისათვის არიან მოწოდებულნი ღვთისა და კაცთაგანაც. მასხადამე ვისთვისაც ბევრი მიუბარებიათ, იმას, რასაკვირველია, ბევრს მოთხოვენ. „სამღვდელოება უწინდელზე უფრო ნასწაველია ახლაც“, ამბობენ ხშირად. გაუგებარი და ორკოფია ეს აზრი: რომელ უწინდელზე? იმ დროზე, როდესაც ქართველთა სარწმუნოებრივი გრძნობის სიდიადე არამც თუ შიგ ჩვენს ქვეყანაში, სამზღვარ გარეთაც იხედებოდა? როდესაც იერუსალიმისა, ათონის, შავი ზღვისა და სხვა შორეული მონასტრები საესე იყვენ ქართველთ ბერთა გულდით, რომლებიც დაულალავად თარგმნიდენ თუ წერდენ საღვთისმეტყველო, სამეცნიერო და საეკლესიო წიგნებსა და გზავნიდენ ჩვენს ქვეყანაში! ვთქვათ, უფრო შემდეგ იმაზედ ამბობენ და მართლაც უფრო ნასწაველია ახლანდელი მღვდლები. მაგრამ საქმე ის არის, თუ რა ახალი მიმართულება და მოძრაობა შექმნა ამ ახალმა თაობამ, რა ჰუმანიური მოქმედება შეიტანა ცხოვრებაში, რით იზინა თავი, რით და რანაირად იმოქმედა ხალხზე, რა ნათელი ხაზი დაასვა მის ზნეობას, რით განსხვავდება ის ძველი უსწავლელი თაობისაგან? თითონ ამ ახალი თაობისთვის მიგვინდვია ამ კითხვების განმარტება. ჩვენ კი ვერაფერ სასიამოვნოს ვერ მოვახსენებთ პასუხად და უნდა გამოგვტყდეთ, რომ სრული მომხრე ვარ იმ ძველ მღვდელთა, რომლებიც არა ერთხელ და ორხელ უჭირან სიტყვას ამ უფრო ნასწავლით: „წირვა-ლოცვის ასრულება შენც შეგიძლია და მეც, თავისთვის შენც ცდილობ და მეც და სხვა არც შენ რაიმე გაციკეთებია და არც მეო“. იმე მოგახსენებთ იმ კუთ-



ხის წრეზე, რომლის ცხოვრებას ვაცვირდები ეს ერთი ხანია...

„შენ ვერ გამოაკეთებ ქვეყანას, ვერ დაუცხრობ სატყეოვარს ამდენ სულსაო“, არა ერთი და ორისაგან ვიგონებო, სამწუხაროდ, ასეთ ირონიულ პასუხს. რა უსაფუძვლო და მოუფიქრებელი მართლებია უმართებულო მოქმედებისა! კაცმა ის უნდა აასრულოს, რაც შეუძლია, ის ღვაწლი დასდევს, რასაც მისი უნარი, ძალღონე შეიძლებს, გამოიღებს, და მაშინ სიკოცხლეშივე მკვდარი აღარ დაერქმევა. რა უთხრა უფალმა იმ მონას, რომელმაც მისგან მიღებული ქანქარი დაფლა მიწაში და უსარგებლოდ დაუბრუნა უფალსავე? აქ გულზე ხელ-დაკრეფა და მარტო თავისთავზე ზრუნვა ახალი მიზეზი იქნება ხალხის ზნეობის დამცირებისა, და აკაცობის გაზვიადებისა. ამგვარ განარწყულ ხალხს გამხენკება-წამოყენება უნდა. ის მაგალითად სთვლის მოძღვარს, კარგსაც ითვისებს მისგან და ცუდს კიდევ უფრო ჩქარა და ადვილად. ეს უკანასკნელი მაგალითია მისთვის თავისი ცხოვრებით და მაგალითით, მასწავლებელია სამსახურითაც და მღვდამარეობითაც: რამდენი შემთხვევა და მარჯვე დრო შეუხვდებოდა მათში სამსახურის დროს თვით ცხოვრების ნიდაგზე, მოქმედების დროსვე აუხსნას საღმრთო მოძღვრება, წარმოსთქვას რომელიმე ცხოვრების მოვლენაზე, მოქმედებაზე და სხვა ამგვარებზე მართალი შეხედულება მათდა საყურადღებოთ! მასწავლებელია ის სკოლაშიაც, სადაც შეყრილიან ჯერ კიდევ გაგნებუნიერება დაუბნინებელი მოხარდი თაობა, რომელიც იმას ჩამიარბავს გულში, იმას აღმოაცენებს მომავალ ცხოვრებაში, რასაც ჩაუნერგავთ და ასწავლით ხერხიანად. ცხოვრება სკოლა, მრეველი განურჩევლად წლოვანებისა, სქესისა, წოდებისა მოსწავლე და მოძღვარი—მასწავლებელი. მიჰყევით ამ გზას პირნათლად, ერთგულად, და მაშინ დარწმუნდებით, დასტოვებს თუ არა კვალს ჩვენს ცხოვრებაში. მხოლოდ საჭიროა ღრმად გვექონდეს დამარბული გულში მაღალი იდეა და აღსრულება ამ იდეებულო მოვალეობისა. ყოვლად შეუძლებელია კაცმა ამასაც ემსახუროს და თან ფუფუნებასა, განცხრომასა, სიმდიდრესა და ქვეყნიურ ღიდებასაც მისდოს...

არის მაგალითები, რომ კაცს მუდამ ღრმად უნდა ზეზი აკერია ენაზე, მუდამ ლაპარაკობს ჰუმანიურ მიმართულებაზე, მოქმედებაზე, მაგრამ როდესაც ცხოვრებაში მოდის, საქმეში დგება, უცნობი იცვლება, უქრება მისი იდეები, არამც თუ თითონ აღარ მისდევს და ლაპარაკობს მანზე, არამედ იმასაც გაუბრბის და ერიდება, ვინც მისი მიზნდევრა. რა არის ამის მიზეზი? ნუ თუ ისეთი ძლიერია საზოგადო მიდრეკილება ცხოვრებისა, რომ არ შეიძლება მის გამკლავება, მის წინააღმდეგ დამარება, თავის თავის დამარება, რომ თითონაც არ შეტოპოთ ამ მღვრიე მორვეში? ვთქვათ, ძნელია, მაგრამ არც შეუძლებელია საზოგადოდ. ბევრი მწარე ნადველი უნდა გადაყლაპო, ბევრი დაცინვა, შეურაცხყოფა, დაქვეითება, სივიწროვე უნდა გადტანო, მაგრამ ქება და პატივი დაიმსახურება თუ ბოლომდის დაითმენთ. ამისათვის საჭიროა რიგიანი გენვითარება, მაგრამ ხასიათი, მაღალი რწმენა და ჭეშმარიტისიყვარული მისადმი. ვინც აღრიანად უკვირდება თავის მომავალ მღვდამარეობას, სამსახურს, საღ მოხვდება, რა ხალხთან ექნება საქმე, აღრიანად ინერგავს გულში სიყვარულს მაღალი ჭეშმარიტებისა და სიმართლისადმი, იმას, მე მგონია, ვერაფერი ვერ გადააყენებს ერთხელ არჩეული გზიდან, ექნება სიმხნე გაუმკლავდეს ცუდ მიდრეკილებას. უამისოდ ქაღილი, სიტყვების რახარუხი ყინულზედ დაწერილი თამასუქია უთუოდ. ქარის შემოტანილს ისევე ქარი წაიღებსო, ნათქვამია.

ამით მე მიხდოდა შემენიშნა მიმართულება ჩემიანებთა იმ კუთხეში, სადაც მე მიარ-მომიარია, რაც შეეხება მასწავლებლებსა და მათ დამოკიდებულებას ხალხთან, სამღვედელოებას და ერთმანერთთან ამანედ შემდეგ მოგახსენებთ.

მღვდ. დ. ჩხაიძე.







## სამკვარში სიკვდილი.

სიკვდილი ბუნებითი, უჩვეულობითი და  
ქრისტიანული.

(რუსულიდან).

### I

სიკვდილი... ვინ არის ისეთი, რომ შეუშვო-  
თებლად წარმოადგინოს სიკვდილი? მას შედეგ, რა  
რომ ლეთიურმა წყევამ ადამიანის ბედნიერება მოს-  
წყლა, და სიკვდილი შეიქმნა არა მარტო მრისხანე  
გასაფრთხილებელ, არამედ სინამდვილედ, მისი  
სახე, მრავალი საუკუნოების განმავლობაში, უკ-  
ვალდებულად სდგას წინაშე კაცთა შეგნებისა როგორც  
შეუბრალებელი საშუალება. სიკვდილი ბევრისათვის,  
როგორც აუცილებელი თავდასავალი, ბრძოლის  
ველზე ბინადრობს; მისი გამბრუნელი სუნთქვა ათას-  
ნაირ სწეულებში მოსინჯს ნელი საწაღლეოვით, რო-  
მელსაც კაცი კუბოში და სამარეში ჩაჰყავს. სიკვდი-  
ლის დამლუვებელი ძალა მოულოდნელი და სასტიკი  
სახადების მეფობით მუსსის იღლება, იგი პაერს სწამ-  
ლავს და აზრებს მიმოაბნებს ურცხვ ზოულოდ-  
ნელ შემთხვევებში—როგორც არიან ნავთ-დანთქმა,  
ცეცხლის წაქიდება, ორთქლ-მავალი დაღუბა,  
რკინის გზის მატარებელთა დაჯახება და მუსრვა-  
მსხვრევა, მიწის ძვრა, შიმშილობა, წყალ-დიდობა და  
სხვანი. სიკვდილი ხშირად უერთდება სისხლის მძიმელ  
მხეცებს, არა იშვიათად ხელს უწყობს კაცის ბოროტ  
სურვილს, და აქეზებს მას სამტროდ და კაცთა საკ-  
ლავად; მისი მომაკვდინებელი აზრდილი დაღვრემილ  
სახით სდგას ყოველი კაცის ცხოვრების სათავეში  
და იგი ნელნელა, მაგრამ აუცილებლათ უზსადებს  
ყველას უკანასკნელ აღსასრულის ეამს: ის არ ერი-  
დება არავითარ მსხვერპლს და; თითქმის, ერთნაირი  
ხალისით იტაცებს ყრმთა და მოზრდილთა, ჭაბუკთა  
და ვაჟ-კაცთა, ახალგაზდათა და მოხუკთა, ძლიერსა  
და უძლიურსა, სწეულსა და ჯანმრთელსა. მილიონ-  
ჯერ მილიონი მიცვალებულნი მისის შეუბრალებ-  
ლობის მსხვერპლნი შეიქმნენ. მრავლისაგან მრავალ  
კოცხალთა იგივე მოვლისთ; ერთის სიტყვით, სიკვ-

დილი, მისი სიღუმლო მდუმარებით, შიშის ზარით  
და ფერ-მიხილობით, კუბოსა და საფლავის პირ-  
დარენილი ჯურჯუტანებით, გახრცელი თავის  
შემზარავი ღიმილთ და კან შემოძარცული ჩონჩხის  
ხრივით—არის საშინაირი, აუცილებელი და ყოვე-  
ლის მხრით გვერდ-შევიღელი ხეცდრი ყოველის  
სულდგმულისა ქვეყანაზე, ასრე რომ თვით უხანგრ-  
ძლივესი სიკოცხლე კაცისა არის ღრობით ვადის  
გდადება და მეტი არასფერი.

მიცვალებული არ ღაპარაკობს. იგი მდუმარ-  
ბით სახავს თავის ბედის წერას. უტყველია ეს ყო-  
ველთვის ასე იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა ადამი-  
ანს ძლიერა სურს იცოდეს, თუ რა მოვლის მას  
სიკვდილის შემდეგ, ღრმა ძილი სიკვდილის მუდამ  
ეამს აშუთავდათ კაცის გონებას და აძლევდა მას  
გამოკანას, რომლის გამოსაცნობლადაც იგი ხშირად  
ხმარობდა თვის საუკეთესო უკეთილშობილეს ძალ-  
ღონეთა. ამ კითხვის ასე თუ ისე გადაწყვეტის თა-  
ნაბრად ადამიანი აღდგნა თავის შეხედულებას სიკვ-  
დილზე. ენახათ, როგორი იყო ეს შეხედულებანი:

სიკვდილის შემდეგ კაცის მდგომარეობის შესა-  
ხებ უხსოვარი დროიდან არსებობს ორგვარი სწავლა:  
ერთი დამტკიცებითი, რომელიც ასწავლის, რომ  
სიკვდილით არ თავდება კაცის არსებობა, არამედ  
იგი გრძელდება სიკვდილის შემდეგაც; მეორე უარყო-  
ფითი, რომლის თანახმადაც უკანასკნელი აღმოფ-  
შვინვა და გულის გაციება არის უკანასკნელი წუთი  
სიკოცხლისა. ორივე ეს შეხედულებაც ხდება საფუ-  
ძელათ რწმუნებათა, რომელთაც ძლიერ საბატო  
პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ. ეს ასეც უნდა  
მოხდეს. ცხადია, რომ სხვანაირი შეხედულება ექმ-  
ნება სიკვდილზე იმ კაცს, რომელიც მისდევს პირველ  
სწავლის, და სულ სხვანაირი მეორე სწავლის მიმდ-  
ვარს; და საკვირველიც ის არის, რომ აგეთ ურთი-  
ერთობას აქვს მტკიცე, თითქმის, უტყველებელი ხა-  
სიათი. პირველი სწავლის მიმდევარნი უხსოვარი  
დროიდან მოკიდებული და ცხლაც იმ ზარისანი არიან,  
რომ სიკვდილი ისე საშიში არ არის, როგორც გვე-  
ჩვენება, ანა და, მაინცა და მაინც, არ უნდა იყოს  
საშიშრო ჩვენთვის, თუმცაღა კი ის დღიად ზარდამ-  
ცემია; რომ იგი არის, უმეტეალოთ, ჩვენის სიკო-  
ცხლის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა;  
თუმცა შესაძლოა, რომ ამ გადასვლის ჰქონდეს თვისი  
არა სასიამოვნო და სამძიმო მხარენიც. მეორე სწავ-





ლა ამდენად საიმედო შედეგს არ იძლევა. მართალია, ეს სწავლა თავ-გამოდებით ცდილობს, რომ კაცს არ ეშინოდეს სიკვდილისა და ამტკიცებს, რომ სიკვდილი არის უკანასკნელი უსიამოვნება, უკანასკნელი სიმწარე, რომელიც თვითიფულს ჩვენ თავანს მოელის; ამისათვის ეს სწავლა გვამცნებს, არ მოვიშხამოთ ჩვენი სიცოცხლე სიკვდილზე ფიქრით; მეორე სწავლის ძალით სიკვდილი ადამიანთათვის რჩება არა უბრალო სიმწარეთ, რომლის წინაშეც მარტო შეკუმუხება იყოს საკმაო, არამედ ჩამღვილ-ზარდამცემ უბედურებად. ორსავე აღნიშნულ სწავლა-მოდურებას ისტორიამ თავისი გვირგვინი ჰყავს, რომლებსაც ცხოვრების განხილვით უფრო სასაღვილო არის თვითიფული ამ გმირთა სწავლა-მოდურების სიაც-კარგის შემოწმება.

II

399 წ. ქრისტეს დაბადებამდე ათინის ერთ-ერთ საპატრიარქოში, სასამართლოს განაჩენის ისტორიულში მოყვანილი, სიცოცხლეს ესალმებოდა ღრმად მოხუცებული კაცი. ის ამ დროს 70 წ. იყო. შეხედულობით ძლიერ უშნო კაცი იყო. ბეჭვანიერ, მკვრივ, მაგრამ დაბალ და უშნო ტანზე მას ება მსხვილი თავი, შემოსილი მოყვარე ქერა თმით. მის მაღალ შუბლს ქვეშ ბრწყინავდნ ვამოკუთსული თვალები. პატარა ჩაქუქილი ცხვირი გაშლილი ნესტოებით მეტისმეტ ულუზათა შთაბეჭდილებას ახდენდა მხახველზე, რომელიც მისი განიერი შუბლისაგან სულ სხვას მოელოდა, ხოლო სქელი მგრძობიარე ტუჩები, რომელიც უშნოდ გამოჩნდა მის ქერა წვერს და უღვაშებში, ამახინჯებდნ მის პირისახეს. მონხუცის საზოგადო უშნოებს ზედ ერთიდა ტანდაბლობა, სიმსუქნე და უშნო ღიბი. მაგრამ ამ უშნო შეხედულობის პირის ძარღვებში და ულაგო ალუგას ჩაჯენილ მოყვარე თვალებში გამომეტყველებდა სხვაგვარი სილამაზე სილამაზე ქვეა-გონებისა და ზეშთაგონებისა. თავისუფლების დროს მოხუცს ვარს ეხვია გუნდი ადამიანთა, არა მისის გარეგნობის სასაცილოთ ასაღებათ, არამედ იმისათვის, რომ მისგან რაიმე გაეგონათ და მოესმინათ. საპატრიარქოში მონხუცი მარტო არ იყო. მას ვარს ეხვია რამდენიმე კაცი მის ნაცნობთა და მოწუფეთაგან, რათა მასთან ერთად გაეტარებინათ უკანასკნელი წამები მისი სა-

წუხარო სიკვდილის წინედ. ისინი იკრებებოდნ საპატრიარქოში მისთვის, რისთვისაც საპატრიარქო ვარემე იკრებებოდა გუნდი მსმენელთა მოხუცის ვარემეში და სახელდობრ: მისი არა ჩვეულებრივი მახვილ-გონიერებისათვის, ხალხთან კეთილ-განწყობილებისათვის, ცხოვრებაში უზავველობისათვის და დასასრულ სათნოებისა და უმაღლეს ფილოსოფიურ სწავლა-მოდურებისათვის, რომელიც მას თავის ცხოვრებასთან შეთანხმებული ჰქონდა. იმ მოხუცს ერქვა სოკრატე, ის იყო ბერძნების ცნობილი ფილოსოფოსი, რომელმაც გონებისა სამეფოებლოში ისეთი ცვლილება მოახდინა, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა ჰქონდა. მას უმართებულად გადაუწყვიტეს თანამომგებმა სიკვდილით დასჯა. დრო წამების მოახლოვდა. წამების ყამის მომლოდინე საპატრიარქო ჰაერიც კი სულის შემხუთავი მოლოდინით იყო გაყენილი. მწუხარე სახე მოწუფებისა, ხილვა ცოლისა და შვილებისა, რომლებიც უკანასკნელად მოსულიყენენ მამის სახახავად, შენიძრწუნებელი წამი ხილვა-გამოაბზ ოკება, კეთილი წამტიპასი, რომელიც ცოცხალი კერის ხელშეიკ ქვერი იყო- აი რა უნდა ენახა და გაეგონა მომაცდაეს, თუმცაღა სიკვდილსა და სოკრატეს შუა ბვერი ხანი აღარ დარჩენილიყო, მაგრამ იგი მიინც არ ეცემოდა სულით. მისი უკანასკნელი დღე დათვლილი იყო, იმანაც იცოდა და ცხადად ხედავდა ამას, მაგრამ მისი დაწინარებული, წინანდებურად ნათელი, გამჭირახი და აუქარებელი გამომეტყველება გონიერი თვალებისა ამტკიცებდნ მისს შეუშუათებელ ვაჟ-კაცობას. თვალით ხედაეს სიკვდილს. მაგრამ მას არ უშნოის იგი, მას მშვიდად და გაბედულად უქირავს თავი. მან კარგა ხანია უარჰყო წინდაუხედველი რჩევა თავისი კეთილის მყოფლებისა, რომ იგი საპატრიარქოდან გაქცეულიყო, მან უარჰყო ეს რჩევა არა იმისათვის, რომ მას გაქცევისა ეშინოდა, ანუ ვერ მოახერხებდა ამას- არას: გაქცევისათვის თუმცაღა ყველაფერი მზათ იყო და ამით სოკრატეც სიკვდილს ვადარჩებოდა, მაგრამ ეს ფილოსოფოსს სასარცხინოდ მიჩნდა. მისს მეგობართ და მოწუფეთ მათი რჩევის არავითარი გამამართლებელი საბუთი არ მოეყმეებოდათ. სოკრატე თავ-გამოდებით ამტკიცებდა, რომ იგი აუცილებლად უნდა დამორჩილებოდა სასამართლოს გადაწყვეტილებას და მისს მეგობრებსაც სიტყვა შეტურწუნებლათ უნდა დაენებებინათ თავი წინააღმდეგ რჩევისათვის.



ცხადი იყო შემდეგი: „შენ ჰყველები უდანაშაულოდ“, მთავრად სოკრატეს ერთმა მოსაუბრემ. ფილოსოფოსმა დიდის სიადვილით დაურღვია თავისი მესაუბრეს ეს დასკვნა: „თორემ შენ კი გსურს დანაშაული მოჰყვედე“, უპასუხა მან. ამის შემდეგ აღარავის არ გაუბედავს სოკრატისათვის მისი გარდაწყვეტილების შეცვლევინება და ფილოსოფოსიც ალტაცებით საუბრობდა სულის უკვდავებაზე. დანიშნულ ვადაზე გამოცხადდა მთავრობისაგან გამოგზავნილი კაცი; მან შეატყობინა სიკვდილის ჟამის მოახლოვება, გულ-საკლავად გამოეთხოვა ბრალდებულს და ტირილით დავებით გაუდგა გზას. ამ დროს თითქმის და გამოიკვალა კაცის ბუნება: იმათ, რომლებიც ცოცხლები უნდა დარჩენილიყვნენ, ვერ შეიმაგრეს ცრემლი და გულ-საკლავად და სასოწარკვეთილად მორთეს ქეთინი, სოკრატე კი ამ დროს, ვითომ და აქ არაფერი, გულგრილად ეკითხებოდა მსახურს, რომ რა უნდა უყოს მისთვის მომზადებულს საწამლავს. მოიშინა თუ არა მოკლე დარიგება ამის შესახებ, მან აიღო მომკვდინებელი სასმელი, ილიკა ღმერთები, „რომ მისი სხვა მსაფლიოში ვადასეცა ბედნიერად შესრულებულიყო“, გულმაგრად, უდრტინველად, უწყევრად და შეუშფოთებლად დალია საწამლავი. დაშწრეთ უფრო აუმატეს ქეთინის; მაშინ სოკრატმა აყვიერა სულმოკლეობა თავის მოწაფეებს, რამდენიმე წუთის შემდეგ ფილოსოფოსმა განუტევა სული.

ამ მოკლე მოთხრობიდან ცხადათ სჩანს, თუ რა იყო მიზეზი, რომ სოკრატე ასე ვაჟ-კატურად შეეგება სიკვდილს. მას სწამდა უკვდავება სულისა და სიკვდილში ის არა ჰპობდა უბედურებას და ბოროტებას. ის საპატიმროში 30 დღე იჯდა, აღსასრულის მომლოდინე, და ამ მოსახერხებელი დროის განმავლობაში ერთი გმინვაც კი არ ამოუშვია პირიდან, ერთი სამდურავიც კი არავისზე დასცდენია.

„მე არ გამომიცდია, აზნობს ერთი დამსწრეთაგანი, ის გრძობა სიბრალულისა, რომელიც აუკრობს კაცს თვისის მეგობრის სიკვდილის დანახვაზე; ის კი არა, როდესაც მე მას მიეჩერებოდი და ვუსმენდი, მას სრულ ბედნიერად ვსთვლიდი: ისე მშვიდად და დიარსულად ეჭირა თავი. მე ვფიქრობდი, რომ ის სტოვებდა ამ სოფელს ღმერთების მფარველობის ქვეშ, რომელთა განჩინებითაც მას მომავალში ელოდა არა კაცობრიული ნეტარება“. (ფედონ).

მაგრამ სოკრატმა ველარ მასაწრო ჯეროვანად

გამოერკვია თავისი სწავლა-მოდერება საიქიო ცხოვრების შესახებ. მის სწავლა-მოდერებას აუხსენელი დარჩა ბევრი კითხვები, რომლებიც წამოყენებაც შეიძლებოდა კაცის საიქიო ცხოვრების შესახებ, და ამიტომ აღამიანს საესვებით არ შეეძლო ეხელმძღვანელა მისი სწავლა-მოდერებით. ამ მხრით თვითვე ულ კაცს შეეძლო თავისებურად განემარტა სოკრატის სწავლა-მოდერება და სიკვდილიც ყველასათვის ერთგვარად საშიში არ ყოფილიყო. აქედამ სოკრატის სიკვდილიც განსაკუთრებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს; მისი სიკვდილი იყო ნაყოფი მისი მალის-სულთვანი ბუნებისა, მისი გასაკვირველი ღვაწლი, მისი სიკვდილი ირგა მიუწოდებელი ფილოსოფიური სიმაღლეზე და არ შეეძლო იქილამ ჩამოსვლა და თანამედროვე კაცთა ზნეობით კალაპოტში ჩადგომა, რომ იგი მუდამ თვალ-წინ სდგომოდათ მაგალითად. შემდეგმა ისტორიამ საკმაოდ დაამტკიცა განსაკუთრებით ღვაწლი ათინელი ბრძენისა. ისტორია მოგვითხრობს მრავალ პირთა სიკვდილს, რომელთაც ისე სწამდათ უკვდავება ჩვენს სულისა, როგორც სოკრატს. ვაგისხნოთ ფსიხოლოგიურის მხრით დროს შესანიშნავი დრო, როდესაც თავის სულიერ ძალის შესახებ იმედ დაკარგულმა კაცობრიობამ დაჰგმო ყოველივე ზნეობრივი დასაწყისი და იწყო ცხოვრება მხოლოდ წუთიერი და შემთხვევითი მოთხოვნილებებით. ჩვენ აქ სახეში ვაქვქს რომის იმპერიის დამხობის დროინდელ ყოფა-მდგომარეობა. მაშინ საზოგადოება წარმოადგენდა ბენესა და შესაზარსურათს რალაციანარი სათურა და საეგებო ცხოვრებისას: ზოგიერთებს უსარგებლოდ და თავმოსაყენად მიანდათ საუკუნოებზე კითხვების აღძვრა, სხვებმა სამუდამოდ მივიწყებას მისცეს ეს კითხვები, მაგრამ ერთიცა და მეორეიც ერთად ღუბავენენ სულიერ და ხორციელ ძალებს ბინძურ განცხრომებში. მაგრამ ამ მიმე და ბნელით მოკულ ზნეობითი წყვილადში გუზგუზა ცეცხლივით აღზნებულიყო სტოიკების ფილოსოფია, რომელმაც თვის გარეშეში მჭიდროთ შემოიკრიბა იწრო წრე იმ პირთა, რომელთაც კიდევ სწამდათ ქეშმარტება და თვისება ჩვენის სულისა პირველის საძიებლად. ისინი სოკრატით ასწავლიდენ, რომ სული კაცისა უკვდავია, მაგრამ სოკრატით ბუნდოვანათ და განუსაზღვრელათ ეს-მოლათ საიქიო ცხოვრება. ეს ბუნდოვანება, რასაკვირველია, ვერასფერ სამსახურს გაუწყდათ მით



სიკვდილის შესახებ კითხვების გარდაწყვეტაში და ამიტომ იმთ მიმართეს საგანს სხვა გზით. სიკვდილი იმთ წარმოდგენილი ჰქონდათ ერთ იმ ათას უბედურებათაგანად, რომლებშიაც კაცთ ყოველის მზრთ გარშემორტყმული არის, და მამასადამე კითხვა მასზე, თუ როგორ უნდა ვეგებებოდეთ სიკვდილს, მათის ჰაზრით, უნდა გადაწყვეტილიყო თავის თავად, უკეთესად გადაწყვეტილი იქნებოდა კითხვა ტანჯვა-წვალებათა შესახებ საზოგადოთ. აი აქეთ იყო მიმართული სწავლა-მოდერება სტოიკური ფილოსოფიისა. ამისდა შესახებ მან შეჰქმნა მკაცრი შკოლა შეუღრკველი გულსივობისა ზნეობით დასაბამთა გული-სათვის. იგი ასწავლიდა: საინოება არის სიკაცობლე, შეთანხმებული გონების მშვიდობიან ნაყიდთან,— იგი თვითუელის კაცის მოვალეობას შეადგენს. ყოველივე, რაც აგეთ ცხოვრების გზიამ გადახევეს ლამის, უნდა უარყოფილ და განგდებულ იქნას, და თუ ვინცოება ამისთან განსაცდელი მოჰყვე, იმაზე მაღლა უნდა დავდეთ. სათნოიან ცხოვრებასთან ერთად, ფილოსოფიისა არ უნდა დაჰკარგოს არც მამაკობა, და არც სიმშვიდე: მას განსაცდელის წინაშე შიში არ ეხატევა. მისს მოვალეობას შეადგენს ბრძოლა თან-შობილ უძლეურებასთან, და ის არის თვით უსრულესი სტოიკი, რომელიც წარბსაც არ შეიხრის თვით უსაშინელესი უბედურების წინაშე. ვინც ასეთ მდგომარეობამდის მიადწია, მისთვის მით უფრო ნაკლებ საშიშრო უნდა იყოს სიკვდილი. შიში წყალეებისათვის—სულ-მოკლეობაა, სიკვდილი გარდუვალაია: მას უნდა შესხედ ან გულგრილად, ანუ მშვიდათ, ანუ სიძულველის შეურაცხყოფით. შეიძლება, უკანასკნელი უფრო სასურველი იყოს ყველაზე. გულგრილთა და სიძულვილით მიგებება სიკვდილისადმი— აი უმაღლესი სათნოება სტოიკიზმისა. რომს შეუძლია თავი მოიწონოს რამდენიმე მსხვერპლით, რომელთაც თვისის ხელით თავი დაიკენს ამ ფიცხელ, ნამვილ სამხედრო, როგორადღე ხანდისხან მას ეძახიან, ფილოსოფიის საკუთონველივე. სტოიკური სიკვდილის მაგალითს წარმოგვიდგენს მოთხრობა ტატიუსისა სენეკას ადმინისტრაციულ თავის-თავის მკვლელობაზე. ამ ფილოსოფოსის მოწაფემ, იმპერატორ ნერონმა, უბრძანა თავის აღმზრდელს დაუყონებლივ მომკვლარყო. მისი დრძანება შესარულეს. მოხუცმა სენეკამ გულგრილად, თითქოს და რომელიმე კანცელარიულ მშრალ

მოვალეობას ასრულებდა, გაიხსნა ძარღვები ხელფეხისა და შევიდა აბანოში. საინტერესოა ვიკოდეთ, თუ როგორ ეჭირა თავი ფილოსოფოსს ამ სამწუხარო ბრძანების შესრულების დროს. მახლობლებმა, რომლებიც მას დაესწრნენ, ტირილი მორთეს. მაგრამ ფილოსოფოსმა მრისხანე ხმით დაუწყო მხილება, რომ მათ არა აქეთ სიმტიკე, რომელიც, მისის აზრით, უნდა შეადგენდეს ბრძნის თანგანსურელ თვისებას. ამის შემდეგ აგრძელებს საუბარს თანადამსწრებთან უკანასკნელ აღმოვეშინვამდის. განუზიარა ფილოსოფიური შენიშვნები კოლსაც, რომელსაც არა სურდა ჭკრივობა და მანაც ძარღვები გაიხსნა, საჩქაროდ განუზიარა მეგობრებს თავისი უკანასკნელი ჰაზრები, რომელთაც მას გაუუღვეს თავში სიკვდილის წინ, ის კი არა, იუბიტერიც კი არ გაუშვა დაუცინაიდ, რომელიც, რასაკვირველია, არა სწამდა მას; ფილოსოფოსმა სთქვა: რა სარგებლობა აქვს ზედასხმელს (возражник), რომელსაც ამ ღმერთის პატივად სჩადიან, რომელიც ანიჭებს მას თავისუფლებას, როდესაც მისი აბანოს მხეფები მიესხურათ იქ მოსამსახერე მონებს. როდესაც ამ სიკვდილს სოკრატის სიკვდილთან ვადარებთ, დიდ განსხვავებას ვპოულობთ. სოკრატი სიკვდილში ბოროტებას არ ხედავდა და მას აღფრთოვანებდა ჰაზრი საიქიო საუკუნო ცხოვრებაზე; სტოიკი არა ჰეიქრობს ამაზე და ჰკვდება მედგრად, ცივად—იმისა გამო, რომ უბედურებას არაფრად ავდებს, მას შემთხვევა ეძლევა იფილოსოფოსისა და კიდევაც იხუმროს. სიკვდილი სოკრატისა ზემთავონებითია, სტოიკი სიკვდილს გულგრილად ეგებებოდა. მაგრამ მათ შორის საერთო ის არის, რომ არც ერთს არ ეშინიათ სიკვდილისა.

III

ცხლა ჩვენ დავუვიკოდეთ, თუ როგორ ეგებებთან სიკვდილს იხინი, რომელნიც სიკვდილის შემდეგ არასდერს არ მოელიან. ასეთ ჰირთ შორის შეიძლება დავასახელოთ სამი ჯურის ხალხი: ერთნი ჰკვებიან მხდალიათ, საზიზღრათ, სულ-მოკლედ; მეორენი უქმეხად და ბინძურად; მესამენი— შერთი და სიხარბით შესტქერიან მათ, რომელნიც კარგად მყოფნი და ცოცხლები რჩებიან.



პირველის რიგის მაგალითის წარმოგიდგენს ჩვენ მიერ უკვე ხსენებული ნერონი, რომის იმპერატორი. ამ კაცმა სტორიაში სიკვდილს შემდეგ საოცარი სახელი მოიპოვა. მაგრამ რამდენადღაც ნერონი საშიშარი იყო მაშინ, ოდეს ესყრა ხელმწიფობა, იმდენად საბრალო შეიქმნა მაშინ, როდესაც დაპყარვა იგი. თავისი ზნეობითი მხარით იგი იყო წარმომადგენელი თანამედროვე ხალხის ყოველნაირ ზნე-ჩვეულებათა. ეს ის დრო იყო, როცა შეიძლება ყოველგვარ მიმართულებასთან შეთანხმება. ამ დროს კაცის გონებაში შეიშუშება თვით უმაღლესი ზნეობითი სწავლა, და საქებათა კაცისა უნდა ითქვას, რომ ზნეობითი სწავლა ყველასათვის ცნობილი შეიქმნა. მაგრამ ამ ზნეობითი სწავლის საკვირველი აღავი ეჭირა: რომში ისეთი ადგილები იყო, როგორც მაგალითად სენატის შენობა, ხოლო საზოგადო ცხოვრებაში ისეთი შემთხვევები, როდესაც სიტყვით ყველა თავის-თავს მოვალედ რაცხდა ზნეობითი სწავლის მომხრედ აღიარებათა თავი; მაგრამ ამავე დროს ძლიერ მრავალი იყო იმისთანა ადგილებიც და შემთხვევებიც, როდესაც პირდაპირ ზნეობის დამცირებას უფრო რჩებოდნენ. ერთი სიტყვით ამ დროს ზნეობა დამყარებული იყო უქაზებსა და სხვადასხვა ოფიციალურ სიტყვებზე, რომლებიც არავის არაფერისადმი ვალდებულათ არა ხდიდნენ. ნერონმა, თავისი ცხოვრების შემთხვევათა ზედგავლენით, შეითვისა ზნეობა ყველაზე უფრო მეტათ. სანამ იგი სწავლობდა, მოხუცი სენეკა სავალდებულო გაკვეთილის დროს ქვეყნის მოზარდ მკურობელს უმარტებდა ფილოსოფიის კეთილშობილურ და უადრეს ჰაზრათა, ხოლო სისხლის მღვრელი ბატონობა, რომელიც მისი მძინვარე დედის აგრიპინას სასახლეში სუფევდა და მათგან იყო ზნეობითი დაცემულობა ნერონის გარეშე მყოფთა ნერვადენ მასში ბინძურ გემოვნებათა და მიღრეკილებათა. ურცხვი პირმოთენობა მახლობელ პირთა ბოლოს უღებდა დანარჩენს. ასეთი აღზრდილამ ნერონმა ყმაწვილობის დროიდანვე შეიძინა შემდეგი თვისებანი: ხერხი გრძელი და შეენიერის სიტყვების წარმოთქმისა, რომელნიც აღესილი იყვნენ საქებარი ჰაზრებით და დიდ შეენიერი ზნეობითი სიმართლით, რომლებზედაც სენეკას გაუწიოთებლივ შეეძლო ხელის მოწერა; მაგრამ თავისს შეენიერ სიტყვებს არაოდეს არ ასრულებდა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი არ ეთანხმე-

ბოდენ რომელიმე მის მხედურ და უშვერ მისწრავებას, და მასთან იგი დაჯერებული იყო, რომ ის იყო დიდება მორტყული გენიოსი. მთელი დანარჩენი ცხოვრება ნერონისა სულ ერთიან ხალხთაგან წარმომდინარობს, როგორც მისი უმთავრესი და პირდაპირი წყაროსაგან. როდესაც მას პირველად სასიკვდილენ განჩინება ხელმოსაწერათ მიუტანეს, მან წამოიძახა: „რა კარგი იყო, რომ წერა სრულიად არ მკლდნოდა!“ მაგრამ მხოლოდ სიტყვები წარმოთქვა — მსენელნი აღტაცებაში მოვიდნენ და ამ სიტყვების მოქმედებას ამითი გათავდა. შემდეგ გამოაშუარავდა ნამდვილი მოთხოვნილებანი, ნამდვილი სურვილნი, რომელთაგან მოეწყოა მთელი ზნეობითი ცხოვრება და მოქმედება ნერონისა. ავითი მოთხოვნილებანი და სურვილნი მკვიდრდებოდნენ მისს ქვეყნან, გემოთ მოყვარე მისწრავებებში, რომელიც არა თუ აღზრდამ მოსპო, არამედ პირიქით გააძლიერა, თუმცა პირველად უფენებლნი იყვნენ, მაგრამ შემდეგში მათ წარმოშობეს ასეთი მავნე პირი. ეს სულ უბრალოდ მოსდა. რომში ზომიერება დიდი ხნად დავიწყებული ჰქონდათ, და ნერონის დროს ხომ საჭიროდ არავენ თვლიდა მის დაქვას; სასახლეში მყოფთ წარჩინებულ პირთ არც კი უწყოდნენ, რა იყო ზომიერება. ნერონიც როგორც ახალგაზდა მზგავსად თანამედროვეთა მიეცა უზომო განცხრომებს. მაგრამ ძალა და სიახლე, რასაკვირველია, დიდხანს არ გაჰყვა, როგორც ისეთ კაცს, რომელიც ყოველთვის ზომიერებას ვადადიოდა. მას ჩქარა და შეუქმნველად ეწვია ის სულხოროცისათვის საშიშო სენი, რომელსაც „მაიორტება“ ჰქვიან. საქირა შეიქმნა განსაკუთრებებით აომებრელი ძალა, საქირა შეიქმნა გამომეგნათ რაიმე არა ჩვეულებრივი განსაკვირვებელი და დასასრულ სასწაულებრივი. უნდა გაეფართოვებიათ თვით შექცევათა წრე.

მღვ. ვლ. ფოფხიძე.

(გაგრძელება იქნება).



# საქართველო

## მედიკალინური თერაპიის საკითხი.

(გარკვევა \*).

ესე გიორგი საღმრთოთა ნიქითა გამდიდრებული, არის ყოველითურთ მშვიდ — მდაბალ, მოწყალე დაწყნარებული, გლახაკთა განამდიდრებდა, აღაესნა საღმრთო კრებული, ქვრივობოდ დაკრძომილები ჰყო ოქროთ გახარებული. ეკლესიათ სულის ძალით შეამკობდა, ეტრფობდა, უცხო მოწოდებ შეიწყნარის, ქველის საქმედ ღამე ჰაბოდა, ესე ვითარს კეთილ მოქმედს ჟამნი უფროს დაეტუბოდა, ყოველსა მისსა მიმორხვევს ზესთა არსი ემწებოდა.

ესეა მეთულებდ ბურღუხან, ოესთა მეთვისა ასული, შევნიერებით მდიდარი, კრონოსის ეტლსა ასული, რხევით კენარი, მჭვრეტელი, იტყუდა გიძენა ასული,

მისსა მაქებრად არ კმაობს ენა ათასად ასული. თვით მოყმე ლომი მებრძოლი არს მეფე ზეკით სივანი, ცხებული ლვისა, უკადრი, პორფირით გვირგვინიანი, ლეთისა მიერის დიდებით გონება განგებოანი,

ეკლესიათა შემკობი, თვით ბრძენი, ენა-წყლიანი. მოკრიბნა თვისნი მოყმენი ამერ იმერთა ყველიანი, მათ ზედა გაჰსცა მრავალი, აღაესნა სპასალარანი, ვერფთვე თავად, აზნაურთ და გლახაკთ ეცათ შევლიანი, გლენი იძახდნენ, აწ მტერმან ჩვენ ვეღარ გეჰქნან ქელვანი.

შემდგომ წარვიდა არარატს ქალაქსა წოდებულისადა,

ალილო ბრძოლით ქალაქი, ვერვის ჰპოვებდი მცველსადა, მოჰსწყვიტნა ყოვლნი, მოცასრნა, ტყვეთა იკრდეს მტერსადა, ყოვლნი აღიესნენ ნიეთითა, მეფეს აქებდენ მხნესადა. მოვიდნენ ტფილის ქალაქსა ალაფით ალაღებულნი,

ტყვე მოიყვანეს დიადი გასყიდვად განზრავლებულნი, ტყვე ღრამად იყიდებოდა, მსყიდნი არს განკვირებულინი, მეფეს აქებდეს გულგოვანს ლეთისადმი შევედრებულინი.

მეფე ღმერთსა შესწირვიდა მადლობასა ღმრთობით, იშვებდა და ნადირობდა, მშვილდოსნობდა სროლად ჟამით, გილაშქრა ანისის ქარს, გარს მოადგა ქალაქს წამით, დადიანი ქალაქითურთ, ხელსა იგდო დია ჰსწრაფით. მეფემ გიორგიმ განავგო ანისის მზღვარი სრულიობით,

მუნ დაუტყვევა ივანე ორბელიანი ხმულიობით, თვით მეფე უკუნ-მიიქცა თვის სანადიროს მკულიობით, შეჰსწირა ღმერთსა მადლობა ცრემლითა გულმზღვრულიობით.

აგარიანთა, ისპიტელთა და შარიელად სულტან წოდებული იასი ესე გაწვეულ იქნა მამელთა ჯარად, და დიარბერქისა თურქთა გარზიანელთა ამათ ყოველთა ალილესნეს კილინი მათნი და შეჰკრბენ ერთად, და წარმოემართნენ და მოადგნენ ანისს; ესნა ესე გიორგი მეფესა და მოიკრიბა მყისვე ჯარს თვისი, ლომნი ქართველნი, და წარემართა საბრძოლველად მათდა, და ძალითა ზეგარდაშობისათა ჰსძლო მათ და მათთა ყოველვე სომიღრე და კარავნი მათნი.

ალიძრენ ყოვლნი თესლ-ტომნი, აგარიანნი ჰზრახვიდეს, აგარინი ისპიტელნი სულტან იასი ჩმახვიდეს, შემოიკრიბა ჯარები, მთა-ველსა გარდმოლახვიდეს, სრულ ავაოხრებ გურჯებსა, ხშირ-ხშირად მოიძახევიდეს.

ესნა მეფესა გიორგის, როს ნაქარმაგვეს მდგომია, აგარიანნი მოადგეს, ანისის შეჰკრეს მზღვარი, მეფე ამის მსმენელი არლა არს ძირსა მჯდომია,

\*) იხ. „მწყემსი“ 13—14 № 1896 წ.



ფიცხლა ვაგზავნა დესპანი ჯარის მომწვევარია.

მოვიდნენ მყისად ერთგულნი ქართველნი ომის მდომნია, აღმხედრდა მეფე ლომ-გული, შავარდნებარ მიმავა-  
ლნია, ვაზირთა ჰკადრეს, მეფეო, ჰსჯობს მცირედ დაგი-  
ყავნია.

არღა უცადნა იმერთა მათ ლომად ქებულთა ძველად, თვით განემართნეს კისკასად, იქმენ გარდამულელ მთა-ველად, ვეზირნი ხშირად ურჩევდნენ ცოტას ჯარითა არ მსულელად, მეფემან არა უსმინა, იქმნა ღვთის ცრემლით მევე-  
რებლად.

მივიდა მეფე შირაკად, მას თვისნი ყმანი ჰყვე-  
ბოდეს, მუნ მეფე ცხენით გარდმოხდა, ცრემლით ღმერთს  
ვევდრებოდეს,

მყის პარაკლისი შეჰსწირეს ქალწულს ღვთის დედას ჰხადოდეს, შენთა მონათა ქართველთა შეწვევა შენი ჰგვევარობდეს.

გაათავეს ღვთის ვედრება, მეფე შეჯდა ცხენსა მარდად, სამად განჰყო ჯარი თვისი, იქმენ მიმტვე გულით მედგარად, ერთი დასტა სუმბატს მისცა, ამილახვარს კარგსა მხედრად, და მეორე ბეშკენ სარდალს, მესამეს თვით ექმნა მწვევრად.

ჰრქვა მათ სარდალთა მეფემან: ისმინეთ ჩემი თქმულია, სამთავე სამგზით მიემართოთ ვითა ვართ დარაზმუ-  
ლია, ვინც პირველ მათსა დროშათა შეესჯარნო გვირი  
გულია,

იციოდეთ იგი ესჯობვართო ვაჟკაცათ იყოს სრულია. სამთავე სამგზით მიმართეს ომი შეიქმნა დიადი, მაგრამ მეფემან სიმხნითა ჰხოცნა აგარნი ფრიადი, მყისად ულევწა დროშანი, სად სულთანნი დგა ზვიადი, დროშანი ძირსა დაუცა, ცეცხლი უწვიმა წვიადი.

როს აგარიანთ იხილეს დაღევწა თვისთა დრო-  
შებთა, მათ ზედა გიორგიელნი ხოცდენ ვით თხათა ბოე-  
შებთა,

მახვილით, ხმლითა ჰკავდიან არვინ იძახდა ოშებდა, თათარნი ტყესა ძვრებოდნენ, არღა ეძებდენ ქა-  
შებთა.

მხისა დასვლამდინ სდევნიდენ სულტანსა გაწ-  
ბილგულსა, მერმე მობრუნდეს კარავთა, აგართ დგმულ დამწკრი-  
ვებულსა, მათთა ალათთა ხვეტდიან, ოქრო-ვერცხოს შერგო-  
ვებულსა, მირბის სულტანი, მოცასტირს, ვაჰმე გულდაწყულუ-  
ლებულსა.

მეფე ღმერთსა მადლობასა შესწირიდა ტკბი-  
ლის გულით, შენ მამეცო ძღვევა მტერთა ზეგარდამო გარდმოსრუ-  
ლით, უშენოსა არ ძალმედვა, ომი მისი მე მკლავებულთით, მოწყალება ყმათა შენთა მოგვივილინე გულით სრუ-  
ლით.

მეფის გიორგისაგან ვამარჯვებით შემოქცევა და ცნობა ხე-  
რანის სულტანისა რაჯის მეფისა და ბაღდადის ხალიფისა  
სულტან იასის დამარცხება, და მათვან შეკრება სრულისა  
ჯარებთა და გიორგი მეფისაგან დამარცხება მათი.

განისმა ესე ამბავი ყოველსა ქვეყნის კიდესა, ხერასნის სულტანს ერაციის ბაღდადს ხალიფა იჯ-  
დესა, ვარაგ ათაბაგს სპარსთასა ესე ამბავი ჰკვლიდესა, გურჯთა ვით ძალომთ ესდენი, ჩვენ ეს შერცხვენა  
გვწვიდესა.

ამათ ყოველთა ერთობით იძიეს დიდი შურია, შემოიკრიბეს ჯარები, ექმნენ ქართლს მონაშურია, სომხით მოვიდნენ, მოადგნენ გაგს იქმენ მონასურია, აღიღეს გაგი მწვარითურთ, დასწვეს, სდგეს კვამლი  
ბურია.

მეფესა გვირსა გიორგის აცნობეს სულტანის ქნილივბი, მყისვე მოკრიბნა ამერნი, იმერნი თანაზრდილები, ოსნი მოიხმო მრავალი ვაჟკაცად ვამოცილები, მყისვე გარდმოვლო ბუბაქარს, ჰგვრავს მას ღვთისა  
ჩრდილები.

სულტანს მიესმა ხალიფას მოსვლა მეფისა გმი-  
რისა, მათ მყისად ბრძანეს აყარანი არ მოცდა ხანთა მცი-  
რისა,





ვის ძალღმეს ომი მეფისა, რტოა დავითის ძირისა,  
თუმცა ვებრძოლოთ, არ ძალგვიძს ისრისა სროლა

ალიყარნენ, წაყავიდნენ, უომრობით გაყარნი-  
დეს,

მცნობი მეფე მიეტევა ვით არწივი გაყავრინდეს,  
ეკლუტის წყალს მოეწივნეს მათ ქართველნი მოცა-  
ჰკელიდეს,  
იმერნი და ოგისთა ჯარი ვითა ქვრივითა თავთა ჰჰკრი-  
დეს.

მეფე დაბრუნდა მშვიდობით, გამარჯვებითა შეე-  
ბული,  
ღმერთსა შესწირა მადლობა, ვარ შენგნით იმედ-  
ბული,

მუნვე გარდახდა მას ალაგს იქმნენცა მოსვენებულო,  
სულთან ხალიფა ბაღდადის მირზიან შეჭირებულო.  
მოადგა ანისს სულთანნი, როს მეფეს ლომსა  
გარიდეს.

სპარსნი არაბნი ერთობით ამ საქმეს განიდრახვიდეს,  
მეფესა ტაშირს მდგომელსა მოციქულს გაუგზავნი-  
დეს,  
ჩვენ დავზავდეთო ამ ჟამად, მას ელჩსა რასმე ზრახ-  
ვიდეს.

მეფეს მოხსენდა ელჩისა სულტრისგან მოგზავ-  
ნილობა,  
მეფეს იამა, მიილა, მყის ბრძანა შემოყრილობა,  
იმერ ამერთა ჯართა რა სცნეს სულთანის მოციქუ-  
ლობა,

ღმერთსა მადლობა შესწირეს, თურქთა სცნეს შენი  
ქმნულობა.

მოციქულმან განუცხადა მეფეს ყოვლი სულტ-  
რის თქმულო;

მეფემანცა მას პასუხი შეუთვალა ყველა სრული,  
განისვენა მუნ მეფემან, ჯარი იშვებს არ რაზმული,  
ფარალათად განისვენეს, ხმლები იხსნეს ხორასნული.

ელჩი მივიდა სულტანთან, მან ჰყო სიტყვისა  
თქმულობა,  
აწვე სჯობს ცდარა საქმისა და არა ხანთა ზმულობა,  
ქართველთა მეფე მშვიდით ღდგას, არ რა აქეს გან-  
ზრახულება,

დავესხათ თავსა უცებათ, ვყოთო ამ საქმის სრუ-  
ლება.

მსმენმან სულტანმან მყისად ჰყო მან ელჩის  
ესე თქმულები,

უბრძანა თვისსა სარდალთა, ჰყავთ ჯარნი დარაზ-  
მულები,

ყოვლთა აღიღონ მახვილი, უმჯობე ხვარაზმულები,  
მიცანო წასვლად აქათ(?) ექმნათ საქმე დეფარუ-  
ლები.

წარმოემართა სულტანი, ჯარი იქმს თანაყო-  
ლსა,  
დაესხნენ ქართველთ და მეფეს მცირედ უქმოდენ  
ბრკოლასა,

მეფემან ცხენთა შესწრო, არცინ იქმოდა წოლასა,  
ქართველნი მეფეს ჰყებოდეს, ამა, ვიქმოდეთ ბრძო-  
ლასა.

რა სულტანმან ესე საქმე სცნა ვერ გდგება ხელ-  
თა მეფეს,  
მყის გაბრუნდნენ აგარნი, და შიშით გამო მხნისა  
მეფის,

აწ ჩვენ ვერ ვართ შემბმელიო, სულტანი ჰხმობს  
ქართველთ მეფის,  
ანისსაცა აღარ დასდგნენ, მუნც იქვედ აქვსთ მისვლა  
მეფის,


მობრუნდა მეფე გიორგი, ღეთისად ჰყო მად-  
ლის ხდილობა,  
თვით განცხრებოდა, იშვებდა, ჰყვეს ხშირად ჯარ-  
თა ყრილობა,

ალაფობდიან, ჰკლევდიან ვინც უქმის აცაშლი-  
ლობა,  
გლახათა განამდიდრებდა, აქენდა ღეთისაგან ჩრდი-  
ლობა.

მეფის გიორგის ძმის წულისა დავით მეფის ძის დიმიტრის  
უკვ დგამთა ვითა კათავაგან, და მეფის გიორგისაგან მის  
შერისხვა და ციხეთა შემუსვრა.

იყო ძე დავით მეფისა, დიმიტრი სახელდებული,  
ზრდილი, ძმის წული გიორგის, მეფისა რტოთა სვე-  
ბული,  
გამცემი, ფრიად მოწყალე, არცისგან დაწუნებული;  
მაგრამ ვითთა თავადთან შეიქმნა მოტყუებული.

განუღდა მეფეს დიმიტრი, ჰყო სოფელთ მიმო-  
რბევანი,  
ამისმა მსმენმან მეფემან, ჰყო მყისად ჯართა წვევანი,  
ეკვეთა ძმისწულს დიმიტრის, შეუქმნა უკუნქვევანი,  
თვით ლორის ციხეს შესწრა, ვერლა ჰქმნა ვერვის  
ტყვევანი.





## სოკრატეს მონღეტი

20 ივნისს სვანეთის სამფეოდელოებამ გადინდა წირვა და შანაშვიდი განსვენებული სიყრეთის უისკოპოზის გაბრიელის სულის მოსახსენებლად. სამფეოდელოებამ კარგათ გრძნობდა, რომ ეს თავისი მოვალეობა უფრო ადრე უნდა შესრულებოდა, მაგრამ სასტიკმა ზამთარმა და მისგამო სიციფე-უგზობამ ნება არ მოგვცა ერთ ადგილას შეკრებას. დანიშნულს რიცხვსათვის დეტალის მრევლის მფედელობა ბ. გიოზს ძიმიტარაშვილმა მთავრად მთელი კრებულის სვანეთის თავისს კელესიანზე, სადაც საერთოდ ვარდახილ იქნა წირვა და შანაშვიდი. წირვის შემდეგ პატრიარქებმა ძიმიტარაშვილმა მთავრად მთელი სამფეოდელოება სადილოთ თავისს სახლში. უკლას დიდი მწუხარება ემჩნეოდა სახეზე, ისევეა რა განსვენებული მფედელობავრის ამავს და მოღვაწეობას სვანეთის და ბლავების სასარგებლოდ. (იქვე გაიმართა ხელის მოწერა განსვენებული ფიანდისათვის და ოთხ თუნამდე ფული შეკრება). ეს ამავსი ძვირფასის მწიქს-მთავრისა ხალხსაც იმეხნად შეგნებული ქონდა, რომ მისმა მიკვადებამ საერთოდ გლოვა გამოიწვია სვანეთში. ვაუზისადებლათ შეიძლება ითქვას, რომ ასეთი საზოგადო მწუხარება სვანების არც ერთ ადამიანს არ რგებია წილათ. დაუვიწყარი მფედელობავარი ორჯერ (1866 — 1873 წწ.) ბრძანდებოდა სვანეთში და ამიტომ ხალხი მას პირადათ იცნობდა. ენდაც კი მოკლებული სვანეთი გზას, თორემ რა იქნებოდა ოც-და-ათი წლის წინეთ, როდესაც პირველად ეფირსა სვანეთი განსვენებული ხელვას. 1866 წელს იგი იძულებული იყო რაჭით გადაეგლო ვაკნისს უფელტეხილი და ისე მიესწია სვანეთს. აი რანაირი გზები ხვდებოდა გნათლებულ მფედელობავარს: „როდესაც — სწერს იგი თავის მოგზაურობაში — მივადწიეთ (ვაგნის) მწვერვალზე, დიდი თოვლი დამხვდა; ზოგმა დაკეცილი დართუბი დაიდევს ქვეშ და ისე ჩამოსროლდენ თოვლზე თავ დადმა; მე კი ფეხით

ჩამოსვლა ვამჯობინე, თუმცა მორბილებული თოვლი ვერ მაგვრებდა და მესლამდე ვეფლებოდა“. მეორე ადგილას მოკვიტხრობას: ხიდზე უნდა გავსულიყავით, „ბრვიან ცხენების სიმძიმეს ვეფარ გაუძლო ხოდა და ყირაძალა გადავარდა ცხენი. Мостъ наклонился набокъ, лошадь, потерявъ равновѣсiе, рухнула въ самую средину грязной воды и была увлечена течением“. ამ ვგარი შემთხვევები არა ერთ აქვს აწერილი განსვენებულს თავის მარტვი, მაგრამ სიმართლითს ვსე მოგზაურობაში, მაგრამ იგი მანც ვერ მაქონა ამავარ დაბრკოლებამ და მადლა დამჭერი ქრისტეს სწავლის დრომის სელმეორ და მადის სვანეს 1873 წელსა ამ ქამად იგი სხვა გზას ირჩევს, ვითომ უკეთესს, თუმცა ნამდვილ კი ეს გზა პირველზე უარესია, ასე რომ ერთ ადგილას მეორეთ მოგზაურობის დროს კინაღამ დიდს განსაცდელში ჩავარდა ქრისტეს სწავლით აღჭურვილის მქდაგებლის სიყოცნლე. „По переправѣ чрезъ Ингурь — სწერს უოვლად სამფეოდელო — дорога вдругъ поднимается круто на гору; ночью были дожди, дорога была мокрая и скользкая. На самомъ узкомъ мѣстѣ въ срединѣ подъема, лошадь моя подкальзнулась и опракинулась назадъ; я не могъ усидѣть и слетѣлъ съ нею; но къ счастью упалъ нѣсколько въ сторону. Я отдѣлался только тѣмъ, что хромалъ нѣсколько дней.“ უნდა შევნიშნოთ, რომ ქრისტეანობა სვანეთში იმ დროს, როდესაც ეს ვუთხე ჩაბრდა განსვენებულს მფედელობავარს, უკანასკნელ სულს ღევდა. მისი მუქი ძლივსდა ბეუტავდა. სწორეთ განკება მოუვილინა სვანებს ამ საჭირო დროს აბრიელ უისკოპოზი, მისმა ორგზის მობძანებამ, მჭევრმეტყველებამ ქდაგება-დარიკებამ და შესაფერმა ზომებმა ისნა ქრისტეს სწავლა აქ გაქრობისაგან. გონიერმა მფედელობავარმა პირველად ესრეთ წოდებულ (პაპუსს) მიამქია უურადებდა. რამოფენიმე მათვანი გვზანა მონასტერში სადრმითა წერილის მესასწავლათ, იმათვანი დღესაც ზოგი მფედელობა და ზოგიც მეფვითენი, მოხერხა ქრისტეანობის აღმადგინებელი საზოგადოებისაგან და სვანების შვილები-






სათვის შვიდი სტიპენდია დაანიშნა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. ერთი იმ სტიპენდიათაგანი მე ვიყოფი. უნდა გვეურება, როგორც მამაშვილურის ქცევით გვეურებოდა განსვენებული მოსწავლე სვანებს. ერთი ამ მამობრიულის მოაპრობის სახელი დღესაც ხელში მაქვს. 1871 წელს მესამე კლასში გადავედი. ქართულის ენის მოსწავლეებმა საგანიკულოთ შეჰდევითება მოგვცა მოსწავლეებს დასაწერათ: „ჩემი წრევანდელი კანიკლის დღიური“. სექტემბერში როგორც მე, ისე ჩემმა ამხანაგებმა დაწერილი მივუტანეთ, ვის როგორ შეგვეძლო. ერთ დღეს მოსწავლეებმა მოგვიტანა უველა მოსწავლეებს თავთავიანთი ნაწერები გარჩეული და, სხვათა შორის, მითხრა, რომ შენი ნაწერი სჯობია უველას და ეს რომ გაზეთში გავზავნოს, დაბეჭდვინო. ამ ქებას, ნამეტურ გაზეთში დაბეჭდეს იმედა, ძირიელ გამახარა და იქვე ვითხე მოსწავლეებულს, თუ სად და როგორ უნდა გავზავნოთ. გაზეთში დასაბეჭდათ, მან ამისხნა, რომ გაგზავნა თფილისში უნდა „დროებაში“, თფილისში ერთი მარკა უნდა დააკრა და წაიღებინო. მარკის ფული არ მქონდა და მაშინვე გავიქეცი განსვენებულთან, იგი ეზოში დახერხობდა და წიგნს კითხულობდა. რომ დაბინჯა მისკენ მიმავალი, მითხრა: რა გინდა სვანოვო; მე ვერულო გერდავცი და აუსხენი, რამდენათ ცეცხლი შექმლო. კარგო, მიბრძანა განსვენებულმან, მე ნაწერს წვიკოთხავ და მერე გატყუე, ეხლა წაიღი. შორიდან თვალს ვაფენებდი, ვხედავდი, რომ ჩემს რვეულს კითხულობდა. მეორე დღეს დაბინჯა, მივდი, თავის სახლის კარში შემხედა, სოფლად მიდიოდა: ჩემი რვეული ხელში ეჭრა, გადმომცა ისიც და ორი აბაზიც და ზედ დააყოლა, ამით ქართული წიგნი იუიდეო. მაშინვე მოვეკრცხლე შინ, დავხედე რვეულს და შემდეგი წაწერა ქონდა ბოლოს: აბაქებ, რომ ქართული ენა გვარბანათ გისწავლით; მაგრამ დაბეჭდა არ შეიძლება, რადგანაც ბავშური მოთხრობა არის და არა რით შესანიშნავი. ეპ. გაბრიელია. არ მიახარ მოწონება მოთხრობისა, მაგრამ რას ვიზამდი. დავრწმუნ-

დი კი, რომ ჩვენ ქართულის ენის მოსწავლეებზე უკეთესი კომპოზი უკეთესად ქართულითქო. ეს რვეული ზედ წარწერით დღესაც მოწონებით ინახება ჩემს ქადაგებებში.

მღვ. ბესარიონ ნიკორაძე.



სამეცნიერო სწავლა.

კ ა ს ი

კაცი არის ერთად ერთი არსება, რომლის სამომბლოს შეადგენს მთელი დედამიწა, და რომელსაც შეუძლია ცხოვრება ეოველკარ ზომის ჭაერში, და ისეთ ადგილებშიაც კი, სადაც მუდამ თოვლი სმევს, იგი იტანს ადვილად საოცარ სიცივეს პოლიუსის ქვევებში, სას, ეკვატორის მწვაჟ სიცივის და აფრიკის უდაბნოების ზაანახებთან. თუმცა კაცს, თავისი ბუნებისმებრ, შეუძლია აატანოს ეოველკარში ჭაერი და ისაზრდოთს სხვა და სხვანიირი ნოეიერი ნიუიერებით, მაგრამ ამავე დროს კაცსე დიდი გავლენა აქვს ჭაესს, საჭქელს და ცხოვრებას. ჭაისს, საჭქელის და ცხოვრების ხედგავლენისაგამო კაცის ფიზიკური და კონებითი კანვითარება ან სუსტადებთან და ილევიან, ანუ ძლიერდებიან და უკეთესდებიან. საზოგადოთ ჭაერის გარდამეტება ძლიერ ცუდით მოქმედებს კაცზე; მუდმივი ზაანახება აძლიერებს გულისა და სისხლის მოქცევით მარღვიების მოქმედებას, რისა გამო კაცი ხდება ღუნღულა, ზარმაცი, ფიცხი და მტრმნობიერი. უსომო სიცივე კი აძლიერებს გულის მოქმედებას, ასუსტებს სხეულის ზრდას, მის ფიზი-



კურ ძალებს და აფერხებს მის სულიერ ბუნებას; ერთი სიტყვით, აფერხებს კაცის ფიზიკურ განვითარებას. მხოლოდ ზომიერ ჭავის მექანე ქვეყნები ხელს უწყობენ კაცის ფიზიკურ და გონებით წინსვლას, მხოლოდ ზომიერ ქვეყნებში ფეხს იკიდებს განათლება, მრეწველობა და ჭეშმარიტი სწავლა. ცხელს ქვეყნებში კაცი არ ებრძვის ბუნებას, რადგან ეს საჭირო არ არის მისთვის. ბუნება ასეთ ქვეყნებში უშრომლოთაც უხვად აჯილდოებს კაცს, რაისა გამო იბადება სიზარმაცე და კაცს ავიწყდება თავისი ჰირღანი მოვალეობანი; ცივს ქვეყნებში კაცი არ ებრძვის ბუნებას, რადგან ამ ბრძოლისათვის შესაფერი ძალა არ მოეპოება. უსომო სიცივისა გამო ვოვლივე მოძრაობა შეჩერებულია; აქ არ არის სიზარმაცე, მხოლოდ ცხოვრება რადაცა დადუნებულია; აქ ნაცვლად სიმდიდრისა ფარფაშებს სიღარიბე; აქ არ არის უღებობა და დაქანცულობა, არამედ უღონოება და სანოწარგვეთილება. ზომიერს მხარეში კაცი ებრძვის ბუნებას ბრძოლის დაიმედებული. რომ იგი სძლეოს ბუნებას, რომელიც დაჯილდოებს მის შრომას თუ უხვად არა, შესაფერად მინც, ბუნებას ზედგაუღუნა აქვს კაცზე არა მარტო ჭავრით: კაცზე დიდი ზედგაუღუნა აქვს დიდ მატერიკებს, მდინარეების და ზღვების ნაპირებს, კუნძულების გროვას, მთებს, მინდორებს და ტბებს. ამაებზეა დამოკიდებული თემთა და მოდგმათა სხვა და სხვაფერობა. რაც უფრო ერთი ერთმანეთზე დასალოებული და ბეგობა მატერიკები, იმდენათ უფრო მრავალ რიცხოვანია თემი; რამდენათაც ერთგვარი და მიუვალა მატერიკი, იმდენად უფერულია და ერთგვარი ამ მატერიკის მკვიდრთა ცხოვრება, ასეთა ადგილების მკვიდრნი ბრევი, გაუნათლებელი და გრძობის მოყვარეა; რამდენათაც მატერიკი სხვა და სხვა ფეროვანი და ადვილად მისაგალია, მით უფრო ძლიერდება განათლება მის მცხოვრებთა შორის და ძლიერდება მკვიდრთა სულიერი ცხოვრება; რამდენათაც უფრო გამთბარია რომელიმე ქვეყანა ცეცხლის მქმინავი კუნძულებით, მით უფრო ძლიერია მის მცხოვრებთა შორის სხვა და სხვა ვნებანი; რამდენათაც ძლიერ ცხელია მატერიკი და რამდენადაც მასში ნაკლებად არის წყალი, იმდენათ უფრო მგრძობიარეა კაცი და იგი გულგატეხილი შეჭურვებს მომავალს; მისი მოქმედება და აზრი მიქცეულია მხოლოდ აწმეოსე; რამდენათაც უფრო უხვად რწეავს მატერიკს ან მისი ნაწილის ნაპირებს ოკეანეთა წყლები, იმდენათ მცხოვრებნი გულგრილნი და უგრძობნი არიან; ერთგვარად ეგებებიან მშუხარებას და მსიარულებას. ვოვლივე ამას ძლიერ თვალსაჩინოდ ვნიშნავთ სხვა და სხვა თემებში, რომლებითაც დასასალოებულია ევროპა, დასავლეთი აზია და ჩრდილოეთ აფრიკა.

იმ ქვეყნებში, რომელიც განსხვავდებიან თავისი სხვა და სხვა ფერობით, სახლობს კავკასიის თემი—თემი გონიერი, ნიჭიერი, მოქმედი, მსნე. აზიის მალაღს, ერთგვარ და მღუმარე ქვეყნებში მოსახლობს მონგოლთა თემი, თემი სულწასული, მიუნდობელი, ფრიად გულმალაღი და ამავე დროს ქვემრომი და ჰირმოთნე, უწელო და ერთგვაროვანი აფრიკა და ასალი გოლანდია დასასალოებულია ბრევი და მგრძობიარე ნეგრები; სამსრეთ ინდოეთის და ავსტრალიის ცეცხლმქმინავ კუნძუ-



ლებზე ცხოვრობს მალაის თემი — თემი კულ-წრფელი, მხვიდობის მოყვარე, სტუმრის მოყვარე, მაგრამ ამავე დროს ფრიად შურისმძი-ველი შეურაცხებისა და მით უმეტეს სახელის


გატყვისათვის. დამორებულს ამერიკაში, რომელსაც კარს არტყია თეანე, მოსახლობს ამერიკული კულტური, ფრთხალი და უკმ-ნარბელი თემი. \*]



წაილა-ფე ი რხიდელო.



მცხოვრება ვალოს კუნძულსა.




იაპონელი



საკისი (ჩრდილო ამერიკელი).



ჩხეთელი კალი.



მოვაგლი.

\*) ჩვენის აზრით საჭიროა და სასარგებლოთ მიგვიჩნია, რომ დრო და დრო ჩვენ მკითხველებს გავაცნოთ სხვა და სხვა კლთხეების მკვიდრთა სახე — ტომები, თავიანთ მოსაწონი მორთულობით და მოკაზმულობით, სგრფფე მათი ყოფა-ცხოვრება, რწმენა და ზეე-ჩვეულებანი. დღეს ზმორად კვითხულობთ ადგილობით ვაზეთებში სხვა და სხვა ცნობებს იაპონელების, ჩინეთლების, აბაშეთის და სხვა ტომთა შესახებ. მაგრამ ყველა ეს ცნობები უფრო საინტერესოა მაშინ, როცა იცი სხენებულ ტომთა ყოფა-ცხოვრება, რწმენა და ზეე-ჩვეულებანი. რედაქტორი.



მატერიალებს გარდაკაცის ცსოვრებაზე დიდი ზედგავლენა აქვს მდინარეების და ზღვების ნაპირების მოხაზულობას და შტოებად დაყოფილებას, კუნძულების სიახლოვეს და სიმორეს, ადგილების მადლობ და დაბალ მდებარეობას, წყლის სიუხვეს და ნაკლებობას. ნაყოფიერი და მდიდარი ნიადაგი ახსლოებს მდიდარ და განათლებულ მიწათ მოქმედთ, სოლო სხადც მიწის ნიადაგი არ ვარჯა, იქ სახლობს მსუცთა მჭკრელნი და მონადირენი, ზოლოუსის ქვეყნებში სახლობენ გველეშაპების და თევზის მჭკრელნი, როგორც არიან ლაზღანდები და ესვიძოსები. ცხელს ქვეყნებში, სხადც მიწის ნიადაგი ნოყიერი და მუშაობას არ ითხოვს, მკვიდრნი წარმაცნი არიან, როგორც მაგალითებრ ინდოელები, თათრები, იტალიელები და ისპანელნი, სოლო სისარმაცე დედა სიღარიბისა, ცუდმოსიარულობისა და ცარცვა-გლეჯისა; სოლო სხადც მიწის ნიადაგი ზომიერად ნოყიერი და ჭვავც ზომსერი, იქ კაცი შრომის მოყვარება და მასთან დარწმუნებულად არის, რომ მისი შრომა უსრუხველ ჭეოფს მას მოძავალში; ასეთ ქვეყნებში კაცის ფიზიკური და ზნეობითი მადლები ფართო ასწარეს ნახულობენ მოქმედებისათვის. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოგვიდგენენ შუა ევროპის მკვიდრნი. ეველს ზემოთ აღნიშნულნი ზირობანი ბუნებისა მლიერ თვალსაჩინოდ მოქმედებენ კაცის მთელს ცსოვრებაზე; ამ ზირობათა ზედა დამოკიდებულია საღბთა ზეიჩვეულებანი და სხვა და სხვა მსარეები თითოეული კაცისა.

## საისტორიო მასალა.

### ივანე ბატონიშვილის წინადადება გიორგი მე- XIII-დმი მირთმეული 1799 წელს.

მოხელეთ მისვლისათვის მეფეთან საქმეებით და აგრეთვე  
საწაღში.

სამოკცდა მათე. თითქმის ყოველ დღე მეფე უნდა ბრძანდებოდეს ქვეყნის საქმეში. საღამოს დროს, ვახშობისა ნაპირის ვლითა, რათა მოახსენოს მეფეს ზვლისათვის: საღილისა თუ ვახშობისა, თუ რაოდენს რიგს საქმელს ინებებს და ან ინებებს ვისმე სხვთა საღილად ზღებასა, რომე განწესებულსა ჯერსა ზედან მოემბატოს საქმელნი და სასმელნი. აგრეთვე დიდის მეფელიშვის დროს და დღესასწაულებში. და მერე ნაბრძანებს სახლბუცესს ცხად უყოფდეს ნაპირი და ეგრეთ განაშაღებდენ ყოველნი მოხელენი საქმისანი, რომელნიც ზეთ აღწერეთ, სამოქალაქოთა და სასულიეროთა, და სამხედროთა. განეყოთ დღეები და დაენიშნოთ რაოდენთამე გვათა დილით და რაოდენთამე საღამოთ. დილით მათე სათზუდ მივიდოდენ საქმის კაცნი და სამს საათს ინებებდეს მეფე მათ საქმეების მიღებას, გაშინჯავდეს და გარდაწყვეტდეს და მერეთ წავლენ ესენი თავისთვის საქმესა ზედა. ხოლო მეფე შეეცევა ვითარცა ნებავს. აგრეთვე საღამოს, მერვე სათზუდ მივიდოდენ დანიშნულნი კაცნი და ათს საათამდინ იყოს მეფე საქმეში და გარდაწყვეტდეს საქმეთა და მერე, ვითარცა ნებოს მეფეს, ესრეთ შეეცეოდეს. არზის მიმრთმეველნი ხომ არიან დანიშნულნი ქართლიდამ და კახეთიდამ, მაგრამ რადგან ხალხთა აქეთ ჩვეულება; მეფე კვირაში ორჯელ, საღილის ერთს საათს წინათ გამობრძანდებოდეს დიდს სახლში ანუ ავიანში და იქ მიართმევედენ ყოველნი არზას. მერაზეთ უხუცესნი თანაწყებოდეს და იგი მიართმევედეს. და დიდს მეფე გაშინჯავს, მიეცეოდეს პასუხი ხუთ დღემდინ, რომ არ მოსცდენ ის ხალხნი თავის საქმეს. კვირა დღეს და უქმეებსა შინა და ეგრეთვე ხუთშაბათობით ვითარცა ჭქონია მეფეთა საღაღში და ხალხის მისვლა—ეს ნუ მოიშლება, ისეც იყოს სახედ ამ დანიშნულს დღეებში.





### მიჯლიშისათვის.

**სამოაჯდამეთორმეტე.** მეფეთ ვითარცა ჰქონი-  
ათ განწყება მეჯლიშისა, ვითარცა სწერია დასტურ-  
ნამსა შინა, იყოს ესეცა, ვინაიღმან არის ჩვეულება  
ძველადე. გარნა მეფე წელიწადში რაოდენმე გზის  
მოიწვევდეს სამღვდლოთაცა სასუთრად სადილად;  
გარნა მამის იყენენ მგალობელნი და არა მოსაკრ-  
ვენი. ეგრეთვე სომეხთა სამღვდლოთაცა, აგრეთვე  
ვაქართაცა, უფროვე გაერთულებებისათვის მათისა.  
დედოფალიცა დაპატიებდეს თავადთა ცოლებსა და  
კეთილშობილთაცა და აგრეთვე მოქალაქეთა ცო-  
ლებსაცა; ეს სახედვე მღვდელმთავართა.

### გარეშე მქსობილებთან პოლიტიკით მოქცევა და აგრეთვე ხელმწიფეთ კართა ზედა.

**სამოაჯდამეთორმეტე.** რომელნიც ახლო მე-  
ზობელნი არიან ჩვენნი ხანები თუ ფაშები, უნდა  
ყოველთვის აღერსით ვექცეოდეთ, ტაცებით და  
ქურდობით, კაცის ცარცით, ვაქართ შეწუხებითარა  
ვამიზეხუბდეთ ჩვენზედ სამტროდ. შეიძლებოდეს მო-  
ყობაც მოხდეს შენდობით—არც ეს იქნება ური-  
გო; თუ არა, ჟამსა ქორწინებისა ვისამე მფვისა თუ  
მეფის ძეთა მოიწვევოდნენ მათნი შვილნი, ანუ თვით  
იგი პირველი ვეამი ანუ მათ დიდებულთაგანი ვინმე.  
აგრეთვე მეფის კურთხევის დროს განუსვენებდეთ  
კარგად. შევაქცევდეთ, ვნადირებდეთ და შეძლები-  
სამებრ დავსაჩუქრებდეთ. აგრეთვე შევეწვეოდეთ  
ქირსა და ლხინშაიც, მოსაკითხს გაუგზავნიდეთ. სამ-  
ზღვრებზედ მოვიპატიებდეთ, ხუთს ექვს წელიწადში  
ერთხელ ორი სამის დღის ერთად ყოფით შევექცე-  
ოდეთ. აგრეთვე თუ მტერი ვინმე მოვიდეს მათ ზე-  
დან შეძლებისამებრ ან ჯარით ან თეთრით შევეწე-  
ოდეთ, და ეგრეთვე, თუ არ შევევძლოს, არცერთი  
შეგამდგომლობით შევეწოდეთ მომრევეთა მათ ზე-  
დან მოსრულთა მტერთათანა. ეს სახედვე გვყვანდენ  
ყმანი მათნი მოგებულნი ნივით და მოსაკით-  
ხით.

დიდთა ხელმწიფეთა ომი ჩვენგან ყოველთვის  
საფთარაკო არის. უნდა ყოველთვის ვაფრთხილე-  
ბულნი ვიყენეთ, რომ იგინი არაზედ განვარისხოთ,

რომელიც მათი დადგინებული მოხელე არის სამ-  
ზღვრებსა ზედან, უნდა ყოველთვის აღერსით ვექცე-  
ოდეთ და მოსაკითხს არ ვაკლებდეთ: აგრეთვე მი-  
ვართმევდეთ, რაიცა შევევძლოს, არმანიათა და ესე  
ვითარცა. აგრეთვე პირველი მისი ვეზირი და ვეზი-  
რისა კარგე ყმა უნდა გვეყვანდეს მოგებული ყოველ  
წლიე მოსაკითხით და სხვანიც რამოდენიმე ვეამნი  
კარგე ყმანი ხელმწიფესანი და ამ სახით შეიძლება  
რომე დავიცვათ თავი ჩვენი შიშისაგან.

### სახისზნით ადგილთა და სიმაგრეთათვის.

**სამოაჯდამეთორმეტე.** სიმაგრეები ისეთს აღ-  
გილს უნდა იყოს გაკეთებული, რომ მტრისაგან  
არ ეშინოდეს. საზოგადო სიმაგრე, რომელიც ხალხს  
ჩაიტეეს ქიზიყში, სიღნაღი არის კარგი; კარგს აღ-  
გილსაც დიდი და მაგარი, მაგრამ კიდევ ეწიერება  
გაწყობა და გაკეთება, ამაში დაეტევა მთლად ქიზი-  
ყში, საენდრონიკო, საეაჩანაძო და ყანდაღურს აქეთი  
კაცი; ჯამითით სარადანის კლდესა შინა ყანდაღურსა  
ქვევით კაცი ნინოწმინდამდის კარგად დაეტევა, და  
დიდი სიმაგრეც არის და ესეც უნდა იყოს გაკეთე-  
ბული. ნინოწმინდა, პატარაძეული, ხაშვი, ყანდაღური,  
სართიქალა და სხვა სოფელში ბოქორმის ციხეში  
კარგად დაეტევიან. და დიდი სიმაგრეც არის, და ესეც  
კარგად უნდა იყოს გაკეთებული და გაწყობილი ვე-  
ლისციხიდან მოკიდებული თელავამდის სოფლე-  
ბი კალაურის მთაში კარგად დაეტევიან, და ამასში-  
ნაც უნდა იყოს შენობა, თელავის ციხეში კარგად  
მოთავსდებიან ახმეტე, მატიანი, შახტრონი, ლა-  
ლისყური და სხვა მის გარშემო სოფლებში მუდანი  
გარშემო, და ანუ კიდევ იმა ხეობებში სადმეთ უც-  
ხოდა გაუკეთდებთ სიმაგრე, და კარგადაც დეტე-  
ვიან ენისელი და სხვა წვრილი სოფლები. თითონ  
ენისის ციხეში კარგად დაეტევიან თუ კიდევ მოგე-  
ბებთ სიმაგრე და, როგორც რიგია გაკეთება და  
მაგარი არის. შილდა ყვარელს თავიანთი სიმაგრეები  
აქვს. შილდა, საბეც და სხვა წვრილი სოფლები, შილ-  
დის ციხე გაუმგრდეთ, კარგად იქ დაეტევიან ყე-  
რელი, სანაჟარდო, გავასები. ესენიც ყვარელის  
ციხეში უტბად მოთავსდებიან, და კიდევ მიეცეს სი-  
სრულე გამაგრებას იმ ციხისას. თიანეთს აქვს თა-  
ვეთი სახიზარნი ადგილნი თელავის მხარეს.



ტფილისის ქალაქს გაუახლდეს ციხე. გაამაგრონ შიიტახტი შელიქის სასახლესთან კლდის ძირას, კოშკი ქოჯრის კარზედ და წყლის კარზედ გაღავენი გაუახლდეს. ავთანთ ხევი ამოიწმინდოს და სხვა თხრილიც შეერთდეს. და შიგნიდან კიდე გაუკეთდეს ალიზის დაბალი გაღავენი ჯებირად, მეტეხი გამაგრდეს კარგად. ავლაბრის ასავალს დედოფლის სასახლის პირდაპირ კირაკოზას ბოთან, იმ კლდეზედ, სადაც ასავალია, გაღავენი გაეელოს. უკან მახათს (?) შხარს კარგი და დიდი თხრილი გაეელოს. სუპ-ვარაპეტის ხევიდამ, სადაც მტკვარს დაჰყურებს ძველი თხრილი; იმას შემოაყარონ. შიგნიდან გაეელოს გაღავენი, გაუკეთდეს ხიდი; სამსა თუ ოთხს ადგილს იმასაც გაუკეთდეს სანჯღები კოშკის სახედ და ესე იქნების ფრიად მაგარი. აქ დაიხიზნებდეს სომხით საბარათის შვილო, მარტყოფები, ნათული, ავკალა, დილიში მკვთა მძეგვი და სხვა წვრილი სოფლები.

### ახალი ამბები და შენიშვნები.

ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლების მოსამზადებელ კლასების მასწავლებლებს დღემდის სამსახური არ ეთვლებოდათ და ამიტომ არც პენსია ეძლეოდათ. ამას წინეთ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელი კლასების მასწავლებლებმა უშაღესად თხოვნა გაგზავნეს, რომ მათი სამსახური გაეთანაწირობოდათ ნორმალური სასწავლებლის კლასების მასწავლებლების სამსახურთან და პენსიაც მისცემოდათ. ამ თხოვნის ძალით უწ. სინოდმა შემეღწევა წესდება, რომლის ძალით დღეს, სასულიერო სასწავლებლების მოსამზადებელი კლასების მასწავლებელთა სამსახური გაუთანაწიროა სასულიერო სასწავლებლების ნორმალური კლასების მასწავლებელთა სამსახურს. ხოლო ვისაც დღემდის უმსახურნია მოსამზადებელ კლასებში, მათ ნამსახური დრო ჩათვდებოთ პენსიის მისაღებათ.

ნამდვილ წყაროებიდამ შევიტყეთ, რომ ქართლისა და კახეთის ეპარქიის სამღვდელთაგანს უმადლესი ბრძანებით გარდადებული ფულებიდან დაენი-

შნა 39,000 მანეთამდე. უმეტესი ნაწილი ამ ფულებიდან დანიშნული აქვსთ ყარსის სამეფლობელოს და კავკასიაში მართლ-მადიდებელი სარწმუნოების აღმადგინებელი საზოგადოების ეკკლესიებს. დასავლეთის საქართველოს სამღვდლობებს კი არაფერი არ დანიშნია.

\* \*

ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ ფინანსის მინისტრს წარედგინა შუამდგომლობა, რომლის ძალით ითხოვება, რომ სახელმწიფო ხაზინამ თავს იღვას საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორის, ქქსარხოსის კანცელარიისა და თბილისის საკათედრო სიონის ტაძრის შენახვა. ყველა ამ დაწესებულებათა შესანახავად ითხოვება 25,000 მ. ამის გამო ადგილობრით საეკკლესიო ხაზინაში დარჩება 25,000 მან. დღემდის ქართული საეკკლესიო ღვთის-მსახურების წიგნების ბეჭედის საქმეს აბრკოლებდა უფულობა. დღეიდან, იმედია, ეს დაბრკოლება მოისპობა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ადგილობრითი სასულიერო მთავრობა აღძრავს შუამდგომლობას, რომ ქუთ. საკათედრო ტაძრის და სხვა სასულიერო დაწესებულებათა შენახვა ითავოს ხაზინამ, ვინაიდან იმერეთის ეპარქიის საეკკლესიო ხაზინა გაცილებით ღარიბია სხვა საეკკლესიო ხაზინებზე.

### რამდენი სანაზან.

„მწუქმის“ რედაქციამ მიიღო თეთროსანი და მხოლონი სამღვდლოების ტულ საკიდი ჯვრები ვერცხლისა ვერცხლის ჯაჭვით და ზოგი ვერცხლისა ბრინჯაოს ჯაჭვით. ეს ჯვრები დამზადებულია სინოდის მიერ მოწონებული და ნებადართული შტამებით. ვერცხლის ჯვრები ვერცხლისვე ჯაჭვით ღირს 15 მ., ხოლო ვერცხლისა ბრინჯაოს ჯაჭვით—8 მ. მსურველთ, რომელნიც დაინაზრებენ ამ ჯვრებს არა ნაკლებ ოთხი ცალინსა, მათ გასაგზავნი





ფული არ გადახდებთ.. რომ სამღვდლოება  
 არ მოტყუვდეს ამ ჯვრების სუიდაში, ჩვენის  
 ახრით, კარგი იქნება, რომ ადგილობრივ ბლან-  
 ღოჩინებმა დაიხარონ ვერცხლის ჯვარი ვერ-  
 ცხლისავე ჯაჭვით და ვერცხლისა ბრინჯაოს  
 ჯაჭვით და გააცნონ სამღვდლოებას, რომ მათ  
 შეადარონ ეს ჯვრები სხვა ამისთანა ჯვრებს  
 სხვა და სხვა ჰიროთაგან მოტანილს გასას-  
 ეიდათ.

რუსეთში ჩვენი მოგსაურობისა გამო ევე-  
 ლა წერილები, რომელნიც მიღებულ იქმნენ  
 რედაქციაში, დღემდე უპასუხოთ ივენენ დარ-  
 ჩენილნი. დღეიდან ეველა წერილებზე პასუხი  
 მიეცემათ მათ ავტორებს. ამავე მიზეზისა გა-  
 მო ამ აგვისტოს თვეში ორი ნომრის მაგიერ  
 იბეჭდება ოცი კვირი.

### განცხალეგანი.

ამიღება ხელის-მოწეა 1896 წლისათვის ორ  
 კვირულ გამოცემათ ქართულს

## „მწეემს“-ზე

დ  
 რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ქუნალის ფანს:

12 თვით «მწეემსია» 3 მ. 6 თვით «მწეემსია» 2 მ.  
 — „ ორივე გამოცემა 5 — „ ორივე გამოცემა 3  
 — „ რუსული „ 3 მ. — „ რუსული „ 2

**ს ა ყ უ რ ა დ ლ ე მ გ ო ლ !**

სოფლის სკოლებში მოსწავლეობა სიდა-  
 რიბისა და შევიწროებულ მდგომარეობისა  
 გამო—მე დავამზადე სასწავლო წლისათვის  
 იაფ-ფასიანი რვეულები:

**ასი ცალი 2—3 განათამელ.**

აგრეთვე უოველგვარი საკანცელარიო და  
 სასწავლო ნივთები...

აქვე იყიდება

ქართული წერის დედანი

გ ა ბ ი ჩ ვ ა ძ ი ს ა .

ფასი 20 კ.; სასწავლებლებს და გამ-  
 ყიდველთ დანთმობათ 15 კაპ.

მომართავდეთ ი. მურადოვის მადწიას--ქუთაისში.

### შ ი ნ ა ა რ ს ი:

**სალიბარატორი განამოვიღება:** ჩვენ მოამეთ-  
 საყურადღებოდ.—სამგვარი სიკვდილი.—საქართველოს ძველი  
 დროის თავგადასავალი.—კორრესპონდენცია სენაეიდან.—  
 სამეცნიერო სწავლა: კაცო.—საისტორიო მასალა, ივანე ბა-  
 ტონიშვილის წინადადება გიორგი მე-13-დმი მირთმეული 1799  
 წელს.—ახალი ამბები და შენიშვნები.—რედაქციისავან.

— განცხადებანი.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлиси, 26 августа 1896 г. ✦ Цензуръ прот. Е. Елѣевъ.

Типог. редакцїи журн. „Пастырь“ (И. Д. Гамбашидзе) въ Кутаиси, въ д. бр. Ханаповыхъ, на Нѣмецкой ул.

